# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№21 (10024) 2026 წლის 20 თებერვალი, პარასკევი




## ირაკლი კობახიძე:

# მზად ვართ, სიღრმისეულად ვიმსჯელოთ შობადობის წამახალისებელ ზომებზე, რაც შეიძლება, ხელისუფლებამ გაატაროს!

**2014 წელს დაიბადა 26 355 ბავშვი და 2024 წელს დაიბადა 14 156 ბავშვი, ეს არის კატასტროფული ტენდენცია,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** პარლამენტში ინტერპელაციის წესით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პირველი და მეორე შვილის შემთხვევაში არის თითქმის განახევრებული მაჩვენებლები, მაშინ, როდესაც მე-3 და შემდეგი შვილის შემთხვევაში მაჩვენებელი არის გაზრდილი და ეს არის მძიმე მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური პროცესების შედეგი.

**„პირველ რიგში, კიდევ ერთხელ შევეხები დემოგრაფიის საკითხს. ჩვენ დღეს საუბარი გვქონდა იმიგრაციის თემაზე და ინტერპელაციის საგანი არ იყო, ზოგადად, დემოგრაფია და, მათ შორის, არც იმიგრაცია. დაინტერესების შემთხვევაში, მზად ვართ, რა თქმა უნდა, უფრო სიღრმისეულად შევეხოთ ამ საკითხებს.**

**კიდევ ერთხელ ვიტყვი ზოგადად, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემა, რაზეც მუშაობა არის საჭირო, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის რეალურად ერთადერთი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც ქვეყანას აქვს უარყოფითი ტენდენციები, შობადობა, ქორწინება, განქორწინება. ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ვითარების შეცვლა.**

**კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო, რომ, არსებითად, იმ პრობლემებს, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით დემოგრაფიის სფეროში, უფრო მეტად შობადობა, ქორწინება, განქორწინების სფეროში, აქვს მსოფლმხედველობრივი მიზეზები და ნაკლებად სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები. ამას ადასტურებს, მათ შორის, შობადობის სტატისტიკა, რომელზეც უკვე ვისაუბრე.**

# ბატონო პრემიერო!

## ნახევარი სიმართლე სიცრუეზე ბევრად საშიშია!




იხ. 2 გვ.

**საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ერის წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე, ვიტყოდი, ეგზისტენციალური გამოწვევა, დემოგრაფიული კატასტროფა ახსენა და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზს შეეცადა.**

მის გამოსვლაში გაჟღერებული პათოსი, რომელიც რეპროდუქციული ქცევის ცვლილებას ე.წ. „ლიბერალურ იდეოლოგიას“ და ოჯახის ინსტიტუტის მიზანმიმართულ ნგრევას უკავშირებს, უდავოდ შეიცავს ჭეშმარიტების იმ მარცვალს, რომლის უარყოფაც გონებრივი სიბრმავე იქნებოდა.

თანამედროვე სამყარო, თავისი რადიკალური ინდივიდუალიზმითა და ჰედონისტური მისწრაფებებით, ნამდვილად ცდილობს, ადამიანი აქციოს ეგოცენტრულ მომხმარებლად, რომლისთვისაც შვილი, ზედმეტი ტვირთი, ხოლო ტრადიცია არქაული გადმონაშთია. ამ ნაწილში, ხელისუფლების დიაგნოზი ზუსტია და როგორც ქრისტიანი, ვერ ვიქნები იმ დამანგრეველი ტალღის ადვოკატი, რომელიც ჩვენს სულიერ კოდს ებრძვის.




6

ვაჟა ბერიძე:

## აშშ-ს და რუსეთს ახლა საქართველო ძალიან სჭირდებათ!



7

## 9 ბანდიტი მამაკაცი და ერთი სიტყვით-მკვლელი ჟურნალისტი ელისტრახო კილაძე

## დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზის ძმა ენდრიუ მაუნტბატენ-უინძორი დააკავეს

8

ალისა ვაიდელი:

## თქვენ ნამდვილი ბიჭი ხართ, ბატონო ზელენსკი!..



4



3

## ბაჩიაშვილმა ნაქურდალი დააბრუნა



# საგანგებო ვითარება



# ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა, უზრუნველვყოთ ჩვენი ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნება, მაქსიმუმი გაკეთდება, რომ ვებრძოლოთ არალეგალურ მიგრაციას

**ჩვენ გვაქვს მიზანი, მაქსიმალურად გავამკაცროთ მიდგომა და უზრუნველვყოთ არალეგალური მიგრაციის ნულამდე დაყვანა ჩვენს ქვეყანაში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** პარლამენტში ინტერპელაციის წესით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 2020 წელს დამტკიცებული სტრატეგია ამ კუთხით ნაკლებად ხელშესახებ ზომებს ითვალისწინებს და ახალი სტრატეგია შეიძლება განახლებულ დოკუმენტში აისახოს, რომელიც უკანონო მიგრაციასთან ეფექტიანი ბრძოლის საშუალებას შექმნის. მიმდინარე წელს, ჩვენი გეგმის მიხედვით, დაახლოებით ოთხი ათასი უკანონო მიგრანტის გაძევება უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ რამდენიმე წელიწადში შეგვიძლია, მთლიანად აღმოვფხვრათ უკანონო მიგრაცია საქართველოში. ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის უფრო ეფექტიანი სტრატეგია, ვიდრე ის, რაც იყო ასახული 2020 წელს დამტკიცებულ დოკუმენტში. რა თქმა უნდა, არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი იმ პროცესების ფონზე, რომლებიც ვითარდება, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში. ბუნებრივია, ყველას აქვს შიში, რომ იგივე არ განმეორდეს ჩვენს ქვეყანაში. ხედავთ, როგორ იზრდება მიგრანტების წილი მოსახლეობაში ევროკავშირის კონკრეტულ ქვეყნებში. რა თქმა უნდა, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა, უზრუნველვყოთ ჩვენი ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნება. შესაბამისად, მაქსიმუმი გაკეთდება იმისთვის, რომ ვებრძოლოთ არალეგალურ მიგრაციას ჩვენს ქვეყანაში. ამისთვის უკვე მიღებულია კონკრეტული ზომები და ამ ზომების მიღება მომავალშიც, ბუნებრივია, გაგრძელდება. რაც შეეხება სპეკულაციებს, ამ სპეკულაციებისთვის არ არსებობს არავითარი საფუძველი და ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოტივირებულია პოლიტიკური ინტერესებით!..

---

(პირველი გვერდიდან)

**თუმცა, როდესაც სახელმწიფო მართვის უმაღლესი ტრიბუნიდან ვისმენთ მხოლოდ ამ ერთ მიზეზს და სრულიად იჩქმალება მატერიალური ყოფის უმძიმესი რეალობა, ვალდებული ვარ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და მკვლევარმა, ღიად განვაცხადო: ნახევარი სიმართლე სიცრუეზე ბევრად საშიში ფენომენია, რადგან ის გვაძლევს მცდარ სიმშვიდეს, თითქოს პრობლემის სათავე მხოლოდ ცნობიერებაშია და არა კუჭში, ჯიბესა და მომავლის იმედში.**

# ბატონო პრემიერო! ნახევარი სიმართლე სიცრუეზე ბევრად საშიშია!

**პრემიერის მიერ შემოთავაზებული ნარატივი, სამწუხაროდ, ტოვებს განცდას, რომ ხელისუფლება ცდილობს ურთულესი სოციო-ეკონომიკური განტოლებიდან ამოიღოს ყველაზე მნიშვნელოვანი – ადამიანის ღირსეული არსებობისთვის აუცილებელი მატერიალური ბაზისი. დიახ, სულიერი დეგრადაცია პრობლემაა, მაგრამ ნუთუ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმ სოციალურ დარვინიზმზე, რომელიც დღეს ჩვენს შრომით ბაზარზე მძვინვარებს? ახალგაზრდა ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა დგას არა იდეოლოგიური, არამედ ელემენტარული გადარჩენის დილემის წინაშე.**

როდესაც ქირის ღირებულება საშუალო ხელფასს უტოლდება, ხოლო იპოთეკური სესხი ათწლეულების მანძილზე ფინანსურ მონობას ნიშნავს, ბავშვის გაჩენა იქცევა არა ბუნებრივ მოვლენად, არამედ გმირობის ტოლფას რისკად. სახელმწიფო, რომელიც დემოგრაფიულ ზამთარზე საუბრობს, ვალდებულია აღიაროს, რომ დღევანდელ საქართველოში ბავშვის გაჩენა იქცა ფუფუნებად, დაწყებული სამშობიარო ხარჯებით, დამთავრებული მედიკამენტებისა და განათლების ასტრონომიული ფასებით. ეს არ არის „ლიბერალური მოდა", ეს არის ეკონომიკური განაჩენი, რომელსაც ელიტა, შესაძლოა, საკუთარი კომფორტის ზონიდან ვერ აღიქვამს, მაგრამ ხალხი მას ყოველდღიურად საკუთარ ტყავზე გრძნობს.

განსაკუთრებით საინტერესო და ფილოსოფიური დაკვირვების საგანია პრემიერის მიერ მოყვანილი არგუმენტი 90-იან წლებთან დაკავშირებით, თითქოს მაშინდელ გაუსაძლის პირობებშიც კი შობადობა უფრო მაღალი იყო. ეს ფაქტია, თუმცა მისი ინტერპრეტაცია მოითხოვს გაცილებით ღრმა, მეტაფიზიკურ ანალიზს.




**90-იანებში ერს ჰქონდა კოლექტიური ტრაგედია, მაგრამ ასევე ჰქონდა კოლექტიური იმედი და სოციალური სოლიდარობის განცდა; სიღარიბე იყო საყოველთაო და არა ისეთი პოლარიზებული, როგორიც დღეს. დღევანდელ რეალობაში კი ადამიანს კლავს არა იმდენად სიდუხჭირე, რამდენადაც უსამართლობისა და უპერსპექტივობის განცდა. უიმედობა არის ყველაზე ძლიერი კონტრაცეპტივი. როდესაც მოქალაქე ხედავს უფსკრულს მდიდარ ელიტასა და მშრომელ ხალხს შორის, როდესაც ხედავს, რომ მისი შრომა არ ფასდება და ხვალინდელი დღე ბუნდოვანია, ინსტინქტური შიშები ჯაბნის რეპროდუქციულ სურვილებს. ილია ჭავჭავაძისეული „მოძრაობა და მარტო მოძრაობა" დღეს ბევრისთვის ქვეყნიდან გაქცევის სინონიმი გახდა, რაც დემოგრაფიულ სურათს კიდევ უფრო ამძიმებს.**

სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რომელზეც ასე ხშირად და სამართლიანად აპელირებს ხელისუფლება, პირდაპირ კორელაციაშია დემოგრაფიულ სიმკვრივესთან. დაცლილი რეგიონი და მიტოვებული სოფელი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე ნებისმიერი გარე აგრესორი. როდესაც სასაზღვრო ზოლიდან მოსახლეობა გარბის, იქ იქმნება ვაკუუმი, რომელსაც ისტორია არ პატიობს.

**ტრადიციული ქართული ყოფა, რომლის დაცვაც ასე გვსურს, სწორედ სოფლად იჭედებოდა, დღეს კი ეს ფუნდამენტი იშლება არა „ტიკტოკის ტრენდების", არამედ ელემენტარული ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური უიმედობის გამო. მიწას პატრონი სჭირდება. შესაბამისად, სოციალური კეთილდღეობა აღარ არის მხოლოდ ჰუმანიტარული აქტი, ის ეროვნული უსაფრთხოების უმთავრესი კომპონენტია. მშიერი და გაღატაკებული ზურგი ფრონტის ხაზს ვერ გაამაგრებს.**

აქედან გამომდინარე, ჩემი, როგორც პოლიტოლოგისა და ანალიტიკოსის მიმართვა ხელისუფლებისადმი, არის არა ოპონირება ოპონირებისთვის, არამედ შეთავაზება, გავაფართოოთ ხედვის არეალი. ბატონო პრემიერო, თქვენ მართალი ხართ დიაგნოზის ერთ ნაწილში, მაგრამ მკურნალობა ვერ იქნება ეფექტური, თუ პაციენტის სხეულს უგულებელყოფთ. სახელმწიფოს სიძლიერე იზომება არა მხოლოდ იდეოლოგიური სიმტკიცით, არამედ იმითაც, თუ რამდენად შეუძლია მას შექმნას ღირსეული გარემო თავისი მოქალაქეებისთვის. ჩვენ გვჭირდება არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ სინთეზური მიდგომა:

**ბრძოლა ფსევდოღირებულებებთან უნდა მიდიოდეს პარალელურ რეჟიმში ეკონომიკურ რევოლუციასთან, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანზე და არა ციფრებზე. ეს არის ის „თეთრი ხელთათმანი", რომელსაც გესვრით(!), მოდით, ვისაუბროთ პრობლემის კომპლექსურობაზე. მხოლოდ იდეოლოგიით ბავშვს ვერ გამოკვებავ, ხოლო მხოლოდ პურით – სულს ვერ გადაარჩენ. ორივე აუცილებელია.**

დრო არ ითმენს. ჩვენი სამშობლო დგას დემოგრაფიული უფსკრულის პირას და ამ დროს ერთმანეთისთვის თითის გაშვერა ან პრობლემის მხოლოდ ერთ სიბრტყეში დაყვანა, ისტორიული დანაშაულის ტოლფასია. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და სახელმწიფოებრივი აზროვნება მოითხოვს სიმართლის მთლიანობაში აღიარებას, რაც არ უნდა მწარე იყოს ის.

**თუ ჩვენ გვინდა, რომ ქართველმა ერმა იარსებოს მომავალში, სახელმწიფომ უნდა იტვირთოს მზრუნველი მამის როლი, რომელიც შვილს არა მხოლოდ ზნეობას ასწავლის, არამედ უზრუნველყოფს მას სახლით და პურით. ნებისმიერი სხვა მიდგომა დარჩება მხოლოდ მაღალფარდოვან რიტორიკად, რომელიც ვერ შეაჩერებს ერის ფიზიკურ გაქრობას. ეს არის მოწოდება გაღვიძებისკენ, რადგან ხვალ შეიძლება უგრალოდ აღარავინ დარჩეს, ვისაც ჩვენს სიმართლეს მოვუყვებით.**



**ირაკლი ყიფიანი**



**მაიკ ბენცი:**

# ახლა ამტკიცებენ, რომ ევროპაში გამჭვირვალობის კანონია საჭირო!..




**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მაღალჩინოსანმა მაიკ ბენცმა ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ლიზ ტრასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ აშშ-მა და ევროკავშირმა საქართველოსა და უნგრეთს „რუსული კანონის“ ბრალდება წაუყენეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნებმა დაფინანსების გამჭვირვალობის კანონი მიიღეს.**

მაიკ ბენცმა ევროპაში სიტყვის თავისუფლების საკითხზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ახლა ევროპაში თავისუფალი სიტყვის ინიციატივას უჭერს მხარს. მისი თქმით, სიტყვის თავისუფლება ევროპაში მთელი საუკუნის განმავლობაში უდავო ღირებულება იყო, მაგრამ ბოლო ათ წელიწადში დაფინანსება არა სიტყვის თავისუფლებას, არამედ ცენზურას ემსახურებოდა.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მაღალჩინოსანმა განმარტა, რომ **რუსეთს არანაირი პრობლემა არ ჰქონდა გამჭვირვალობის კანონებთან – პრობლემა სწორედ აშშ-სა და ევროკავშირს ჰქონდათ. მისი თქმით, ევროკავშირი უნგრეთს პირდაპირ დაემუქრა: თუ პარლამენტი მიიღებს კანონს, რომელიც მოითხოვდა, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც 23 000 დოლარზე მეტ სამთავრობო დაფინანსებას იღებს, ეს საჯაროდ გამოეცხადებინა, ევროკავშირი გაყინავდა უნგრეთისთვის გამოყოფილ მილიარდობით დოლარს.**

**„რატომ ჰქონდათ ბაიდენის ადმინისტრაციას და ევროკავშირს პრობლემა ამ გამჭვირვალობის კანონთან? იმიტომ, რომ ისინი უნგრეთის მთელ მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, აკადემიურ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ამერიკული და ევროკავშირის სახსრებით ავსებდნენ, რათა ხელოვნური პოლიტიკური მოძრაობა შეექმნათ ორბანის დასამხობად, უკრაინა ევროკავშირში შეეყვანათ და ერთადერთი ვეტოს ხმა მოეშორებინათ“,** – განაცხადა **მაიკ ბენცმა.**

## რომელი ექსმაღალჩინოსანი გაივლის მის გზას?

# ბაჩიაშვილმა ნაქურდალი დააბრუნა





**გიორგი ბაჩიაშვილმა დანაშაული აღიარა. აანაზღაურა ზიანი, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და ამის შემდეგ საპატიმრო დატოვა. „თანაინვესტირების ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი 2025 წლის მაისში დააკავეს. ის მსჯავრდებულია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის კრიპტოვალუტის მითვისებაში. მას ამ საქმეზე 11 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.**

**ბაჩიაშვილი მსჯავრდებულია კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას გულისხმობს. სასჯელის სახით, მას 4 წლითა და 6 თვის ვადით აქვს თავისუფლების აღკვეთა მისჯილი.**

ასევე, გიორგი ბაჩიაშვილს „მტკვარი ჰესის“ საქმეზე ბრალდება საქართველოს სსკ-ის 2201-ე მუხლის მე-2 ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას, ან არაჯეროვნად შესრულებას გულისხმობს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**საქართველოს პროკურატურაში აცხადებენ, რომ გიორგი ბაჩიაშვილმა სრულად აღიარა დანაშაული ყველა სისხლის სამართლის საქმეზე და აანაზღაურა ზიანი. გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება ჯარიმასა და პირობით მსჯავრზე.**

გარდა იმისა, რომ გიორგი ბაჩიაშვილის წინააღმდეგ ყველა საქმე დასრულდა, ასევე, შეწყდა სისხლის სამართლის საქმე მისი მშობლების საქმეზეც. ბაჩიაშვილის მშობლებს დაეკისრა 50 000 ლარი და ერთი წელი პირობითი.

**„ყველა საქმე დასრულდა, სამოქალაქოც და სისხლიც, მშობლების საქმეც შეწყდა. დაეკისრა 50 ათასი ლარი და ერთი წელი პირობითი. 9 თვე მოხდილი აქვს და 3 თვე დარჩა პირობითი“,** – განაცხადა ადვოკატმა **ლევან მახარაშვილმა.**

თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ გიორგი ბაჩიაშვილის საქმეზე მხარეთა შორის შეთანხმება ყველა აუცილებელ საკითხს მოიცავს, რაც საჭიროა.

**„რაც გაცხადდა ოფიციალურად, ამის დადასტურება ნამდვილად შემიძლია. იმის იქით, ამ ეტაპზე, დამატებით კომენტარს არ ვგეგმავთ. შეთანხმება მოხდა ნამდვილად მხარეთა შორის. მათ შორის, სამოქალაქო წესით“,** – განაცხადა **თემო წიქვაძემ.**

* * *

**მაშ ასე, გიორგი ბაჩიაშვილის საქმეზე მხარეთა შორის შეთანხმება ყველა აუცილებელ საკითხს მოიცავს, რაც საჭიროა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, საპროცესო შეთანხმება თავად ბაჩიაშვილს სურვილი იყო, რომელმაც აღიარა დანაშაული და გამოთქვა მზადყოფნა გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ. როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, მსჯავრდებულმა დააბრუნა მის მიერ მოპარული კრიპტოვალუტა. დანაშაულში თანამონაწილეობა აღიარეს მისმა მშობლებმა და ამის შემდეგ, ბაჩიაშვილმა საპატიმრო დატოვა, თუმცა გიორგი ბაჩიაშვილი, რომელმაც მოპარული დააბრუნა, ქვეყნიდან ვერ გავა. რა თქმა უნდა, ვერც რადიკალებს და ექსტრემისტებს დააფინანსებს, როგორც ამას აქამდე აკეთებდა.**

გიორგი ბაჩიაშვილი თავისუფალია, მაგრამ ციხეში რჩება **შოთა ქარუმიძე,** რომელიც მსჯავრდებულია გიორგი ბაჩიაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში დახმარების ფაქტზე. შოთა ქარუმიძეს ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ 4 წლითა და 6 თვის ვადით ჰქონდა თავისუფლება აღკვეთილი. თავის დროზე, ქარუმიძეს საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარი ეთქვა, რის გამოც მათ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში აღარ გაუსაჩივრებიათ. იქიდან გამომდინარე, რომ საქმის წარმოება შოთა ქარუმიძის მიმართ სასამართლოში არ მიმდინარეობს, მასთან საპროცესო შეთანხმება ვერ გაფორმდება. შესაბამისად, სამართლებრივი მექანიზმები მის გასათავისუფლებლად აღარ არსებობს.

ბაჩიაშვილმა აღიარა, რომ ივანიშვილი გაქურდა, ნაქურდალიც დააბრუნა და ახლა სახლშია, მაგრამ დიდი ალბათობით, ბაჩიაშვილის გზას გაივლიან და „ქართული ოცნების“ ექს-მინისტრებს შეუერთდებიან ეკონომიკის ყოფილი მინისტრი **ლევან დავითაშვილი** და ნავთობისა და გაზის კორპორაციის ყოფილი გენერალური დირექტორი **გიორგი ჩიქოვანი.** სუს-ის ანტიკორუფციულ სააგენტოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ხმაურიანი დაკავებები გაგრძელდება. გარდა იმისა, რომ ყოფილმა ვიცე-პრემიერმა სუს-დან გამოსვლის შემდეგ, მიზანმიმართულად გაავრცელა არასწორი ინფორმაცია, გუშინ, დილით ადრე, ქვეყანა დატოვა. დავითაშვილი განმარტავს, რატომ არ იმყოფება საქართველოში. ამბობს, რომ დაგეგმილი ვიზიტი ჰქონდა და კვირის ბოლოს დაბრუნდება.

**„ჩვეულებრივ, მიწევს ხოლმე საქმის გამო ვიზიტები, თითქმის ყოველ კვირას და ახლაც დაგეგმილი ვიზიტი მქონდა. კვირის ბოლოს ვბრუნდები, შემდეგ კვირას ისევ მიწევს წასვლა... რეალური ინფორმაცია ესაა“,** – განაცხადა **ლევან დავითაშვილმა,** რომლის კომენტარსაც BMG ავრცელებს...

**თამთა ქარჩავა**

საქართველოს რესპუბლიკა

## საქმე იმიტომ უფროა ცუდად!

# რაღა გლობალური და რაღა ლოკალური...






## ალისა ვაიდელი: თქვენ საშიში გიჟი ხართ, ბატონო ზელენსკი!..



**გახსოვთ პრეზიდენტ ტრამპის ინაუგურაციის დღეები? – უზარმაზარ დარბაზში შეკრებილი ხალხი და იმ ხალხში შხამიანი შქერის ყვავილივით ამოსული ჩვენი სამიდღემჩიო პრეზიდენტი, ანუ სინამდვილეში არავინ – სალომე ზურაბიშვილი, რომელიც სახელგაგადრული ატრიალებს თავს იმ იმედით, რომ კიდევ ერთმა კაცმა მოჰკრას თვალი, კიდევ ერთმა ტელეკამერამ დააფიქსიროს მისი იქ ყოფნა!..**

მანამდე კიდევ უკეთესი: უშუალოდ პრეზიდენტ ტრამპის გარემოცვაში მოხვედრილი ქალბატონი სალომე, პირდაპირ პირველკურსელ გოგონასავით ფართხალებს, ცქმუტავს და თვალებს აფახულებს... დიდებული სანახაობა იყო, დიდებული და დიდებულადაც აისახა ქართულ ოპოზიციურ პრესაში, დიდებულად და თავმოსაწონად. ოპოზიციამ პირდაპირ გონება დაკარგა სიხარულით, „ქართული ოცნების“ ნიშნის მოგებით!.. **რატომ გავიხსენე ერთი წლის წინანდელი ეს ამბავი? მარტო გახსენებისთვის, მარტო მაშინდელი სიხარულის ხელახალი განცდისთვის? არა, რა თქმა უნდა!**

გამოჩნდა აშშ-თან ვითარების დალაგების კონტურები. ამას წინათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ვაშინგტონში, სადაც ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს შეხვდა. შეხვედრა გაიმართა, აგრეთვე, აშშ-ში საქართველოს ელჩს თამარ ტალიაშვილსა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს შორის. მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობის აქტუალური საკითხები. ამავე პერიოდში ვაშინგტონში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მამუკა მდინარაძე... მილანში ზამთრის ოლიმპიადის გახსნას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა: „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მასპინძლობით გამართულ მიღებაზე, საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილთან ერთად შეხვედრები გავმართეთ სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან, მათ შორის აშშ-ის ვიცე-პრე-



ზიდენტ ჯეი დი ვენსთან და სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოსთან. აქცენტი ორი ქვეყნის საერთო ღირებულებებზე გაკეთდა“.

ზემოთ რომ ვთქვით, ამერიკასთან ვითარების დალაგების კონტურები გამოჩნდაო, სწორედ ამ შეხვედრებს ვგულისხმობდი. გაკეთდა იქ გარკვეული დადებითი აქცენტები, მაგრამ ჩვენმა ოპოზიციამ ეს აქცენტები ცუდად გაიგო. საპრეზიდენტო შეხვედრაზე აცმუკებული სალომე ზურაბიშვილი გაიხსენა და მისი მაშინდელი „გამარჯვებული“ როკვა დღევანდელ ხელისუფალთა წარმატებულ შეხვედრებს შეადარა. ვითომ რომელ წარმატებაზეა ლაპარაკი, ვიღაც ჭიაღუებს დაელაპარაკნენო. **ასე ეჭიაღუებათ თვალში ვენსი და რუბიო?** თანაც არავინ ამბობს, ყველაფერი ლამის მოგვარდაო, პერსპექტივებზე ითქვა. პერსპექტივები კი აშკარად ჩანს. ჰოდა, უნდა განასხვავო ერთმანეთისგან ხელმოცარული ყოფილი პრეზიდენტის თავგამოდებული ცდა ამერიკის ადმინისტრაციის ღონისძიებებზე მოსახვედრად და თუნდაც ეს მცდელობები ამერიკელ კოლეგებთან შესახვედრად და კონკრეტულ პრობლემებზე დასალაპარაკებლად.

* * *

**თბილისის საქალაქო სასამართლოში 9.წ. – საბოტაჟის საქმეზე წინა სასამართლო სხდომა გაიმართა. ბრალდებული პოლიტიკოსების (მიხეილ სააკაშვილის, ნიკა გვარამიას, ნიკა მელიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, გიორგი ვაშაძის, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას) წინა სასამართლო სხდომას არ დაესწრნენ ნიკა მელია, ელენე ხოშტარია და მამუკა ხაზარაძე. სამაგიეროდ, ამერიკისა და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

გიორგი ვაშაძესა და ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს ბრალდებათ საბოტაჟი და უცხო ქვეყნებისთვის დახმარება; ელენე ხოშტარიას – საბოტაჟი, მატერიალური რესურსების მიწოდება და უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება; ნიკა გვარამიას, ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს – საბოტაჟი; ხოლო მიხეილ სააკაშვილს ბრალდება წარედგინა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის ან სახელმწიფო წყობილების დამხობისკენ მოწოდების მუხლით.

**არცერთი მათგანი ბრალს არ აღიარებს. აღიარებს კი არა, მიხეილ სააკაშვილი გაოცებული კითხულობს, რისთვის ვარ აქო. აქ ვარ იმისთვის, რომ თავის დროზე თბილისი არ ჩავაბარე. ვერასოდეს ვერ უნდა ვნახო ჩემი შვილები და ვერ გავიარო სუფთა ჰაერზე? ნიკა გვარამიამ სულ გაიაბდლა თავი: რას მედავებით, არ ვიცი. წინაზე ის მაინც ვიცოდი, რას მედავებოდნენ! გიორგი ვაშაძე ასევე ტყემალზე ზის: თავი რომ დაიცვა, ის მაინც ხომ უნდა იცოდე, რას გედავებიან!**



* * *

**საქართველოს პროკურატურამ გიგა ავალიანის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულებს ჯგუფური ძალადობის 5 ეპიზოდზე წარუდგინა ბრალი და გამოაქვეყნა ამ ეპიზოდების ამსახველი ვიდეოკადრები ალექსანდრე გაგაშვილის, გიორგი რიკაძის და დემეტრე ჩიქოვანის მონაწილეობით. ამ ძალადობის კადრებს, პროკურატურის განცხადებით, ისინი ტელეფონებით იღებდნენ. აღმოჩნდა, რომ გიგა ავალიანის მკვლელობის გარდა ჩადენილი აქვთ ძალადობის 5 ეპიზოდი.**

გიგა ავალიანის დედამ ეკა კუპატაძემ მადლობა გადაუხადა პროკურატურას და მიმართა დაზარალებულთა მშობლებს: რატომ ითმენდით ამ დალეწილი ხალხის მშობლები ამას? თქვენმა სიჩუმემ მოკლა ჩემი სპეტაკი შვილი. სხვას რომ ხმა ამოეღო, დღეს ჩემი შვილი ცოცხალი იქნებოდა!

ეს ის ქალბატონია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ხატზე გადასცემდა პროკურტურას, დამნაშავეებს ხელს აფარებსო. პროკურატურის წინ ხალხმრავალ ხმაურიან ღონისძიებებს აწყობდა. მართალი ყოფილა, მიწოლამ შედეგი გამოიღო, რაც მთავარია, პროკურატურამ მოინდომა და გაარკვია, რომ დამნაშავეებისთვის ეს გამოუცდელ ყმაწვილთა პირველი დანაშაული კი არ არის, რასაც შემთხვევითი მსხვერპლი მოჰყვა, არამედ გამოცდილ ბოროტმოქმედთა ჯგუფის ქმედების ლოგიკური შედეგი.

ამდენად, ქალბატონ ეკა კუპატაძის ხმაურიანი აქციები შედეგიანი, ანუ დადებითი გამოდგა. არის მეორე ქალბატონი, რომელიც ასევე მრავალ მსმენელს იკრებს თავის გარშემო, მაგრამ მისი თმის გაშლა, დიდად განსხვავდება ეკა კუპატაძისგან. იგი წყევლის დიდოსტატია, თანაც წყევლის ობიექტი – ყოველთვის ჩამოწოდებული. ამ დღეებში სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა მაწყევარის მეტსახელით ცნობილი მარიზი კობახიძის (სინდისის პატიმრის დედის) პოსტი ყოფილი ფეხბურთელის, „ოცნების“ მხარდამჭერის, სრულიად ახალგაზრდა კაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „ეტირა ყოფა, ასე მოუვა ყველა ტიტუშკას და მოძალადე პოლიციელს. რიგში რომელი ხართ, ხომ არ იცით? ჩვენ ჩაგაყენებთ რიგში“.

ამ დედა-ბნედა მარიზის ქალი და დედა ჰქვია საერთოდ? ხალხი აღშფოთებულია მისი წყევლა-კრულვით. იქვე ქვეყნდება მის ანგარიშზე ჩარიცხული თანხები ამერიკელი ემიგრანტებისგან: 4 ქვითარია 27500 დოლარის ჩარიცხვის შესახებ ქალბატონ მარიზის სახელზე!..

იზრდება და მრავალფეროვნდება დაპატიმრებათა არეალი. აგერ, სულ ახლახანს საქართველოს პროკურატურამ ქოლცენტრების მორიგი მასშტაბური დანაშაული გამოავლინა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის და ფულის გათეთრების ბრალდებით ათი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. დაპატიმრებულები არიან ჯგუფის წევრები, მათ შორის ჟურნალისტი **ელისო კილაძე**. ხოლო ჯგუფის ორგანიზატორს, მიმალვაში მყოფ ყოფილ გენპროკურორს **ოთარ ფარცხალაძეს** ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. ირკვევა, რომ ისინი მოტყუებით დაეუფლნენ უცხო ქვეყნის ორასზე მეტი მოქალაქის კუთვნილ, დაახლოებით 9.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტას.

ახლა ბიბისის ბრალდების შესახებ.

შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ მიიღეს ბიბისის პასუხი – ისინი არ


პეტერ ფიშერი

# ყველა დასაჭერია?!

აპირებენ საკუთარი ჟურნალისტების საქმიანობის განხილვას. წინ არის სხვა პროცედურებიც და საპასუხო მიმართვაზე იურისტები უკვე მუშაობენო. „ბრიტანეთის კანონმდებლობიდან გამომდინრე კვლავ ბიბისიში უნდა გავასაჩივროთ ეს საკითხი, ანუ მათი პოზიცია შიგა რეგულაციის მეორე დონეზე. იმ მიზანს, რაც მათ ჰქონდათ, რომ დაეზიანებინათ ქვეყანა, არ უნდათ გადაუხვიონ, მივყვებით ყველა პროცედურას. რაც უფრო გაძალიანდებიან, მით უფრო დააზიანებენ საკუთარ თავს, იმიტომ რომ წინ არის სხვა პროცედურები, სადაც უფრო მეტად მოუწევთ პასუხისგება, ვიდრე აქამდე იყო, მათ შორის სტრასბურგის სასამართლოს ჩათვლით, სადაც მოპასუხე იქნება უკვე ბრიტანეთის სახელმწიფო და სახელმწიფო დამარცხდება „ოცნებასთან“. მათი გადასაწყვეტია, სჯობს აქვე დამორჩილდნენ ჭეშმარიტებას და აღიარონ, რაც დააშავეს, ვიდრე უფრო დიდი ზიანი მიიღონ.“

შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე საქართველოს მმართველმა პარტიამ ბიბისისგან ბოდიშის მოხდა და ვებ-გვერდიდან მასალების აღება მოითხოვა 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციაზე საქართველოში მომიტინგეების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ.

* * *

**მორიგი ხმალაობა გაიმართა ჩვენი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს შალვა პაპუაშვილსა და საქართველოში გერმანიის ელჩს პეტერ ფიშერს შორის. ბატონი შალვა პასუხს მოითხოვს გერმანიის ელჩისგან სრულიად ლეგიტიმურ კითხვაზე: რატომ არ განახლდა 2024 წლის არჩევნების შემდეგ ინფორმაცია გერმანიის საგარეო უწყების ვებ-გვერდზე, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტულად 6 თვეში ერთხელ ხდება ნებისმიერი ქვეყნის მონაცემების განახლება.**

საქართველოს შემთხვევაში კი კვლავ სალომე ზურაბიშვილია მითითებული პრეზიდენტად, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად – ილია დარჩიაშვილი. გერმანიის ელჩს აქვს შესაძლებლობა, შემისწოროს, თუ ეს ასე არ არისო. ვიხილეთ გერმანიის ელჩის პასუხი „ინტერპრესნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში. მისი თქმით, პაპუაშვილი გერმანიაში 4 წლის განმავლობაში სწავლობდა ხელისუფლების სტიპენდიით. შემდეგ კი 17 წელი გაატარა გერმანიის განვითარების თანამშრომლობის ტექნიკური იმპლემენტაციის სააგენტოში, რომლის პროექტებიც ასევე გერმანიის მიერაა დაფინანსებული.

სად ერეკლე და სად პაპუაშვილის გერმანული განსწავლულობა? ფიშერის ვრცელ პასუხში არაფერია ნათქვამი ქართველი მხარის მიერ დასმულ კითხვაზე. ჰერ პეტერ ფიშერი უბრალოდ მიედ-მოედება და არსებითს არაფერს ამბობს.

* * *

**დაბოლოს: პოლიტიკური პარტიის „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (ულტრამემარჯვენე პარტია) ლიდერმა ალისა ვაიდელმა საშინლად გალანძღა ვოლოდიმირ ზელენსკი ბუნდესტაგში გამოსვლისას: „ბატონო ზელენსკი, შეწყვიტეთ ეს იაფფასიანი სპექტაკლი. თქვენ დგახართ აქ და ისე გვესაუბრებით, თითქოს გერმანიას რამე ვალდებულება აქვს თქვენ წინაშე.**

**მოიხსენით გმირის ნიღაბი, ის უკვე დიდი ხანია დალპა. თქვენ გმირი არ ხართ. თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ევროპას უფსკრულისკენ ექაჩება და იმავდროულად თავხედურად მოითხოვთ ამ უკანასკნელი გზის ბილეთის ფასიც ჩვენ გადავიხადოთ. თქვენ უბრალოდ დიქტატორი ხართ, რომელიც ჯარისკაცების ზურგს უკან იმალება, რათა არ აგოს პასუხი ჩადენილ დანაშაულებზე. თქვენ არ გყოფნით, რომ უკრაინელები იხოცებიან, გინდათ, რომ გერმანიის ქალაქებიც იწვოდეს. თქვენ საშიში გიჟი ხართ, რომელსაც ასანთიც კი არ უნდა მისცე, არათუ რაკეტები. თქვენ გერმანია მეწველ ძროხად გადააქციეთ. სად არის ის მილიარდები, რომელიც ჩვენ უკვე გამოგიგზავნეთ. ის თქვენი და თქვენი მეგობრების ჯიბეებში დაილექა. თქვენ დახმარებას ეშელონებით იპარავთ. თქვენ შანტაჟისტი ხართ, ბატონო ზელენსკი, გვაშინებთ, გვაწვებით, სინანულზე თამაშობთ. წაეთრიეთ თქვენს სახლში და აღარ გაბედოთ ჩვენგან არცერთი ტყვიის და არცერთი ცენტის მოთხოვნა...“**



**ესეც თქვენი რუსეთის დამმარცხებელი უკრაინის ეროვნული გმირი!**

**ალეკო ალანიშვილი**



# რას მალავს ლევან დავითაშვილი?!

**საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის ე.წ. „მეორე ტალღა“ შესაძლოა ახალი, სკანდალური ფიგურანტების გამოვლენით გაგრძელდეს. მას შემდეგ, რაც ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე რომეო მიქაუტაძე 2.5 მილიონზე მეტი ლარის „უკანონო დაუსაბუთებელი ლეგალიზაციის“ ბრალდებით დააკავეს, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი გამოძიების ფოკუსში მოექცა, დღის წესრიგში ყოფილი ვიცე-პრემიერისა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ლევან დავითაშვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა.**

## სკანდალური დეტალები, გონივრული ეჭვები და მოსალოდნელი „დაჭერები“...

**ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც სუს-მა დავითაშვილი „ტყუილში“ ამხილა. ანტიკორუფციულ სააგენტოში 6-საათიანი გამოკითხვის შემდეგ, დავითაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ საუბარი ევროპის ენერგოუსაფრთხოებასა და აზერბაიჯანთან თანამშრომლობას ეხებოდა. თუმცა, უწყებამ მალევე გაავრცელა მკაცრი განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ექს-მინისტრი არა „სამომავლო გეგმების განსახილველად“, არამედ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, მოწმის სახით იკითხებოდა. სუს-ის ინფორმაციით, კითხვები ეხებოდა არა ევროკავშირს, არამედ საქართველოში გაზმომარაგების პირობების გაუარესებასა და მსხვილ კომპანიასთან გაფორმებულ საეჭვო ხელშეკრულებას.**

გამოცემა For.ge-ს კონფიდენციალური წყარო უყვება იმ დეტალების შესახებ, რამაც შესაძლოა **დავითაშვილისა და ჩიქოვანის წინააღმდეგ ბრალდება დაამძიმოს**. წყაროს თქმით, საქმე ეხება სტრატეგიული მნიშვნელობის ხელშეკრულებას, რომელმაც ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა:

**„გამოძიება დაინტერესებულია იმ პერიოდით, როდესაც დავითაშვილი და ჩიქოვანი პირდაპირ კურირებდნენ გაზის სექტორს. საუბარია ერთ-ერთ მსხვილ საერთაშორისო მოთამაშესთან გაფორმებულ კონტრაქტზე, სადაც საქართველოს ინტერესები, რბილად რომ ვთქვათ, უგულებელყოფილია. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელშეკრულების პირობების შეცვლით, საქართველომ მიიღო გაცილებით ძვირი გაზი, ვიდრე ეს მანამდე არსებული შეთანხმებებით იყო შესაძლებელი. დავითაშვილის პასუხისმგებლობა აქ იკვეთება, როგორც ზედამხედველის, რომელმაც მწვანე შუქი აუნთო ამ პროცესს. მეტიც, გამოძიება ეძებს კავშირებს მიქაუტაძის საქმესა და ამ ხელშეკრულებას შორის – ხომ არ იყო ეს ერთიანი კორუფციული სქემის ნაწილი, რომელსაც გრიგოლ ლილუაშვილი „ზემოდან“ მფარველობდა? არ არის გამორიცხული, ლილუაშვილს ახალი ბრალი, სწორედ ამ ეპიზოდზე წაუყენონ, რადგან იკვეთება სისტემური დანაშაული“**, – უყვება წყარო For.ge-ს.

წყაროს თქმით, რისკები, რომლებზეც სუს-ი საუბრობს, მოიცავს არა მხოლოდ ფინანსურ ზარალს, არამედ ენერგეტიკულ შანტაჟს, რადგან ხელშეკრულების ვადების „გადახედვა“, რაზეც დავითაშვილმა გაკვრით ისაუბრა, რეალურად, ქვეყნისთვის წამგებიანი პირობების იძულებით მიღებას ნიშნავს. სუს-ის მიერ ნახსენები „პირობების გაუარესება“ და „მსხვილ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება“ ექსპერტულ წრეებში რამდენიმე შესაძლო სცენარს უკავშირდება. წყაროები მიანიშნებენ, რომ გამოძიების ინტერესის სფერო, სავარაუდოდ, ეხება იმ პერიოდს, როდესაც **ლევან დავითაშვილი** და **გიორგი ჩიქოვანი** ენერგეტიკულ პოლიტიკას სრულად განკარგავდნენ.

როგორც ექსპერტები ამბობენ და ჩვენი წყაროც ამასვე გვიდასტურებს, სუს-ში დაწყებული გამოძიება, შესაძლოა, კონკრეტულ ხელშეკრულებებსა და რისკებს ეხებოდეს:

**„გაზპრომთან“ გაფორმებული ტრანზიტის ხელშეკრულება – ეს ერთ-ერთი, ყველაზე მგრძნობიარე თემა, რომელიც დავითაშვილის მინისტრობისას აქტუალური იყო, რუსულ „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულებაა. წლების წინ საქართველო სომხეთში გატარებული გაზის 10%-ს ნატურით (ანუ გაზით) იღებდა, რაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების მყარი გარანტია იყო.**

**გადასვლა მოხდა ფულად ანაზღაურებაზე. ამიტომ, შესაძლოა, გამოძიება ყოფილ მაღალჩინოსნებს ედავებოდეს, რომ ფულადი ანაზღაურების პირობები გაცილებით ნაკლებად მომგებიანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, ვიდრე ნატურით მიღებული გაზი, რამაც ბიუჯეტს დიდი ზარალი მიაყენა და საქართველო ფასების მერყეობაზე დამოკიდებული გახადა.**

**„სოკართან“ გაფორმებული დამატებითი შეთანხმებები – მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, გაზის კორპორაცია მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს ე.წ. „სოციალური გაზისა“ და „კომერციული გაზის“ მოცულობებზე.**

შესაძლოა, საუბარი იყოს ისეთ შეთანხმებაზე, სადაც საქართველომ უარი თქვა შეღავათიანი ფასის გარკვეულ კვოტებზე და სანაცვლოდ, ძვირადღირებული კომერციული მოცულობების შესყიდვა დაავალდებულა სახელმწიფოს.

წყაროები მიუთითებენ, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა კერძო შუამავალი კომპანიების ჩართვას, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობდნენ და რომელთა ინტერესებსაც, სავარაუდოდ, რომეო მიქაუტაძე და გრიგოლ ლილუაშვილი ლობირებდნენ.

**სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) ტრანზიტის პირობები – საქართველო იღებს ე.წ. „ოფციურ გაზს“ შაჰ-დენიზის პროექტიდან. ამიტომ, სუს-ის მიერ ნახსენები „გაუარესებული პირობები“ შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ ქვეყანამ ვერ გამოიყენა თავისი უფლება დამატებით შეღავათიან მოცულობებზე, ან მოხდა მათი „დათმობა“ სხვა მხარის სასარგებლოდ, რამაც შიდა ბაზარზე ტარიფების ზრდის საფრთხე შექმნა.**

**რატომ არის ეს საფრთხის შემცველი?**

სუს-ის განცხადება, რომ „ევროპის მომარაგებაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა“, მიანიშნებს, რომ საქმე ეხება შიდა ეროვნულ ინტერესებს. აქ კი ფინანსური ზარალი იკვეთება. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი ხელოვნურად არის გაზრდილი, ეს პირდაპირ აისახება მოსახლეობის კომუნალურ გადასახადებზე.

**პირობების გაუარესება კი ნიშნავს, რომ საქართველო კარგავს ბერკეტებს ენერგეტიკულ მოლაპარაკებებში, რაც პირდაპირ, ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. როგორც ჩანს, გამოძიება ცდილობს დაამტკიცოს, რომ დავითაშვილმა, როგორც დარგის კურატორმა, ხელი მოაწერა დოკუმენტებს, რომლებმაც სახელმწიფო ინტერესები დააზიანა, ხოლო ფინანსური სარგებელი შესაძლოა იმ კორუფციულ პირამიდაში წასულიყო, რომლის წევრობასაც მიქაუტაძესა და ლილუაშვილს ედავებიან.**

თავად **ლევან დავითაშვილი** ცდილობს, პროცესი სტანდარტულ სამუშაო რეჟიმად წარმოაჩინოს: **„განვიხილეთ საქართველოს გაზის მომარაგების საკითხი... ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების ნაწილში. იყო ლოგიკური კითხვები რისკებზე, რაც ამომწურავად განვიხილეთ“**, – განაცხადა მან.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** კი ყოფილი თანაგუნდელის დაცვას ცდილობს და აცხადებს: **„დეტალები არ ვიცით – ამის თაობაზე სათანადო განცხადება გაკეთდება. ზოგადად, გამოკითხვაზე ყოფნა არ ნიშნავს, რომ მის მიმართ რაიმე ეჭვი არსებობს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ყოფილი მინისტრი იქნეს დაბარებული. ეს არ ნიშნავს ბრალდების წინაპირობას“**, – განაცხადა **ვოლსკიმ**.

ოპოზიციური სპექტრი კი მიმდინარე პროცესებში არა სამართლიანობას, არამედ მმართველი გუნდის შიგნით არსებულ დაპირისპირებას ხედავს. „ლელოს“ წევრის გიორგი სიორიძის თქმით, ეს არის „ქართული ოცნების“ სხვადასხვა კლანს შორის ბრძოლა, რაც ადასტურებს სისტემურ კორუფციას. ხატია დეკანოიძე კი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს ამ დრომდე არ გამოუძიებია „გაზპრომთან“ დადებული ხელშეკრულება და სუს-ის ქმედებები პოლიტიკურ ნებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ რეფორმას.

**ლიკა ბერიკაშვილი**

**დადგება თუ არა ლევან დავითაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, ამას უახლოესი დღეები აჩვენებს. სუს-ის მზადყოფნა, გაასაჯაროოს გამოკითხვის ოქმი, მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო მანქანა ყოფილი ვიცე-პრემიერის წინააღმდეგ სერიოზული არგუმენტებით არის შეიარაღებული. თუკი რომეო მიქაუტაძისა და გრიგოლ ლილუაშვილის საქმეებს დავითაშვილის ეპიზოდიც დაემატება, ეს იქნება ნათელი სიგნალი, რომ „ხელშეუხებელთა“ სია მნიშვნელოვნად შემცირდა!..**

საქართველოს საგარეო პოლიტიკა მორიგი დრამატული არჩევანისა და შესაძლებლობების წინაშე დგას. პრემიერ-მინისტრის ოპტიმიზმი ვაშინგტონთან ურთიერთობების „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებაზე, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ გააქტიურებული „ზანგეზურის დერეფნის“ იდეა და მოსკოვიდან წამოსული ბუნდოვანი სიგნალები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით — ეს ის ფაქტორებია, რომლებიც რეგიონში ძალთა ბალანსს რადიკალურად ცვლის. ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე For.ge-სთან ინტერვიუში დეტალურად განიხილავს, რამდენად რეალურია აშშ-სთან ურთიერთობების „გადატვირთვა“ და რა ფასის გადახდა მოუწევს თბილისს ამ პროცესში.



არის თუ არა „ტრამპის დერეფანი“ საქართველოსთვის ისტორიული შანსი რუსული გავლენების დასასრულებლად, თუ ეს მორიგი სახიფათო სატყუარაა კრემლისგან? ინტერვიუში ექსპერტი იმ „წითელ ხაზებზე“ საუბრობს, რომლებსაც თბილისი და მოსკოვი ვერ გადაკვეთენ და იმ რთულ გეოპოლიტიკურ მანევრებზე, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის ინტერესების გადასარჩენად უნდა განახორციელოს.

## ვაჟა ბერიძე:

# აშშ-ს და რუსეთს ახლა საქართველო ძალიან სჭირდებათ!




**საკმაოდ რთული გზა გვაქვს კიდევ გასავლელი და ამ გეოპოლიტიკურ ტურბულენტობაში ისე უნდა მოვახდინოთ ლავირება, რომ ქვეყნის ინტერესები არ დავაზიანოთ. შესაბამისად, საზოგადოების ჩართულობით, ამ გზებზე უნდა ვიმსჯელოთ.**

**— ბატონო ვაჟა, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მარკო რუბიოსთან შეხვედრის შემდეგ გაჩნდა ოპტიმიზმი სტრატეგიული პარტნიორობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების შესახებ. თქვენი აზრით, რა ობიექტური წინაპირობები არსებობს დღეს ვაშინგტონში იმისთვის, რომ ურთიერთობების თვისებრივი განახლება რეალობად იქცეს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს იმის სურვილი საქართველოს მოსახლეობისა და საზოგადოების მხრიდან, რომ აშშ-თან ურთიერთობის „გადატვირთვა“ მოხდეს. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებისა და ჩვენი მოსახლეობის სურვილი ერთია და თანხვედრაშია. თუმცა, მოხდება თუ არა ამ ურთიერთობების გადატვირთვა უახლოეს მომავალში, ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ერთი და უპირველესი არის სამხრეთ კავკასიაში გავლენებისთვის ბრძოლის დაწყება აშშ-ის მხრიდან, რასაც ამერიკის მხრიდან „თურქულ სამყაროსთან“ გარიგება მოჰყვა.

**— ამ გარიგებაში თურქეთის როლს როგორ ხედავთ, განსაკუთრებით, ტრამპის ახალი კურსის ფონზე?**

— როცა ტრამპმა თავისი ახალი სტრატეგიული კურსის შესაბამისად, ერდოღანი თავის მოკავშირედ გამოაცხადა, ერთ-ერთი პირველი განცხადებისას თქვა, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენებს ამიერიდან ერდოღანი გააკონტროლებს. ტრამპის მხრიდან ეს არის პრაგმატული ნაბიჯი, რადგან მას ე.წ. „ტრამპის დერეფნის“ რეალიზება უნდა — ზანგეზურის დერეფნის, თურქეთთან ერთად. შესაბამისად, ამ დაინტერესებაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაღმია ჩადებული. ეს თავისთავად გულისხმობს არა ბალანსის შტატებსა და რუსეთს შორის სამხრეთ კავკასიაში, არამედ სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის გაძევებას.

**— როგორ ფიქრობთ, დათმობს რუსეთი ასე მარტივად პოზიციებს კავკასიაში, როცა მთელი ყურადღება უკრაინისკენ აქვს მიპყრობილი?**

— ამას, რა თქმა უნდა, რუსეთი, რომელიც უკრაინაში ომით არის დაკავებული, ხედავს. ახლა ხდება ძალების კონცენტრირება სამხრეთ კავკასიის მიმართულებით, თუმცა რუსეთი არც სრულიად ხელის აღებას აპირებს. ამიტომ, ბევრი რამ საქართველო-ამერიკის ურთიერთობის განვითარების ფონზე, კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე იქნება დამოკიდებული.

**— თქვენ ახსენეთ ე.წ. ტრამპის, იგივე ზანგეზურის დერეფანი. სწორედ რამდენიმე დღის წინ, სახელმწიფო დეპარტამენტმა ერთ-ერთ ქართულ მედიას გამოუგზავნა პასუხი, სადაც ტრამპის ადმინისტრაციიდან თბილისს მოუწოდებენ, რომ ამ სამშვიდობო პროცესში გარდამტეხი როლი შეასრულოს. ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ეს გარემოება აღმოჩნდება ის მთავარი ხელშესახები წერტილი, რომლის შედეგადაც საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის გადატვირთვა მოხდება?**

— რა თქმა უნდა, სასურველია, რომ საქართველომ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა. საქართველოს ახლა სჭირდება გამჭრიახი პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც სწორ მანევრებს განახორციელებენ. ეს განცხადებები კეთდება არა იმის გამო, რომ ქართველების ეროვნულ ინტერესებს აშშ პატივს სცემს, ან კიდევ რუსეთი საქართველოს ფიქრში ათენებს და აღამებს — უბრალოდ, ორივე მათგანს ახლა საქართველო ძალიან სჭირდება.

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს საჭიროება დასავლეთისა და რუსეთისთვის?**

— ერთს იმიტომ სჭირდება, რომ ამ დერეფნის მეშვეობით, ცენტრალური აზიის ქვეყნებში პლაცდარმი მოიმზადოს გავლენის მოსაპოვებლად. ამით კი ჩინურ ექსპანსიას დასავლეთში გააკონტროლებს. ასევე, თუ ზანგეზურის კორიდორთან დაკავშირებით, რუსეთი დაუშვებს ამ კორიდორის გამაკონტროლებელი ამერიკული შენაერთის დაბანაკებას. ეს არა მარტო ირანის კონტექსტისთვის იქნება მნიშვნელოვანი, არამედ ნიშნავს იმას, რომ, მიუხედავად სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზის არსებობისა, რუსებს სერიოზულ დარტყმას მიაყენებენ გავლენების მოსაპოვებლად.

**— ამ ფონზე, რუსეთიდანაც მოდის გარკვეული სიგნალები. მაგალითად, „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თბილისიდან მოსკოვში მატარებლით ჩავლენ. რამდენად რეალურია კრემლში საუბრები ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების შესაძლო „უკან წაღებაზე“?**

— დიახ, ქართული წარმოშობის რუსეთში მოღვაწე ადამიანია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ პარტიის წარმომადგენელი მამუკა ფიფია, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ თბილისიდან ჯავშნოსანი მატარებლით მოსკოვში ჩავალთ, ხოლო სოხუმის გავლით, საქართველოში დავბრუნდებითო. აქვე იყო ოფიციალური და არაოფიციალური განცხადებები, რომ რუსეთი არ მოიქცა კარგად, როცა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა. არსებობს ინფორმაცია, თითქოს, კრემლში ერთი მხარე ცდილობს, ეს აღიარება უკან იყოს წაღებული. ეს ყველაფერი ჯერჯერობით რეალური არ არის, მაგრამ ამაზე საუბარი ნიშნავს იმას, რომ სიტუაციის გარკვეული ზონდაჟი ხდება.

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს თემა ერთგვარი „სატყუარაა“ საქართველოსთვის?**

— ეს არ არის გამორიცხული, გარკვეული სატყუარაც კი იყოს. ეს თემა საქართველოს გადმოუგდეს, თუმცა არც ის გამოვრიცხოთ, რომ ამაზე რუსეთში ვიღაცები მართლაც სერიოზულად საუბრობდნენ. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ რუსეთი ახლა საკმაოდ მძიმე სიტუაციაშია. ახლა კრემლი აფხაზეთს იმაზე მეტს ვერ მისცემს, რამდენსაც ყაბარდოელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, თათრებს თუ ბაშკირებს აძლევს.

**— ბატონო ვაჟა, ალბათ, გახსოვთ 2024 წლის არჩევნების წინ, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები, რაც აჩენდა ეჭვს, რომ შესაძლოა, თბილისსა და მოსკოვს შორის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მოლაპარაკება მიმდინარეობდა. თუმცა, მოგვიანებით ეს საუბარი შეწყდა, რადგან კონფედერაციის საკითხი აფხაზეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. პრემიერი კობახიძე ამბობს, რომ კომუნიკაცია არ არსებობს. მაშინ, რაშია საქმე და რა არის რუსეთის მხრიდან ამ აქტიურობის მიზეზი?**

— ჯერჯერობით, რუსეთისთვის ახლა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები არ არის მთავარი, პრიორიტეტული და ამისთვის „არ სცხელა“. ახლა მათთვის მნიშვნელოვანია უკრაინის ომი და ის, თუ როგორ დასრულდება იქ სიტუაცია. ბევრი რამ სწორედ ამ ომის დასრულებაზე იქნება დამოკიდებული, ხოლო საუბარი ამ თემაზე, გარკვეულწილად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც იყო ინიცირებული, როდესაც გაკეთდა განცხადებები უმაღლეს დონეზე, რომ ჰქონდათ სურვილი და გეგმები ურთიერთობის დალაგებასა და პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. თუმცა, იქვე ითქვა, რომ ამას გარკვეული მიზეზების გამო, ჯერ ვერ ვახორციელებთო. ამიტომ, ამ პრობლემის გადასაჭრელად, თბილისსა და მოსკოვს შორის საუბარი რომ დაიწყება, ფაქტია, თუმცა უახლოეს მომავალში, ეს ნაკლებად მოსალოდნელია.

**— რა არის ის ძირითადი „წითელი ხაზები“, რომელთა გადაკვეთაც ახლა ორივე მხარისთვის შეუძლებელია?**

— დიახ, საქართველოსაც და რუსეთის ხელისუფლებასაც აქვთ წითელი ხაზები, რომლებსაც ვერ გადააბიჯებენ. რუსეთისთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების უკან წაღება ძალიან რთულია. ასევე, პრობლემაა დევნილების დაბრუნების საკითხი — ეს მიუღებელია აფხაზი სეპარატისტული ხელისუფლებისთვის.

**— თუ დევნილების დაბრუნება არ მოხდა, სახელმწიფო მოწყობის რა მოდელი შეიძლება იქნას განხილული?**

— ამ პრიზმაში უნდა შევხედოთ სახელმწიფოს მოწყობის კონკრეტიზაციას: თუ დაბრუნება არ მოხდა, მაშინ საქართველო კონფედერაციას ვერასდროს დათანხმდება. ალბათ, საბოლოო ჯამში, ისევ ფედერაციული მოწყობით დასრულდება სიტუაცია, უფრო ასიმეტრიულ ფედერაციას ვგულისხმობ და არა, ვთქვათ, მხარეებად დაყოფას. ყოველი თვალსაზრისით, ეს საკითხები საყურადღებოა, რაც უნდა უდროო დროს იყოს წამოჭრილი.

**— დასასრულს, თქვენი პროგნოზით, რამდენად შესაძლებელია მოსკოვისა და ვაშინგტონის აქტიურობის ფონზე, ხელისუფლებამ შეძლოს ორივესთან ისე „ვაჭრობა“, რომ ქვეყნისთვის სასურველი შედეგი დადგეს? რა უნდა გააკეთოს ახლა „ოცნების“ ხელისუფლებამ?**

— საქართველოს ხელისუფლებას ახლა იოლი საკითხები არ აქვს გადასაწყვეტი. ხელისუფლების წინაშე სერიოზული გამოწვევები დგას. ამიტომ მან საზოგადოებასთან ერთად უნდა იმსჯელოს მოგვარების გზებზე. მოსახლეობა უნდა ჩართოს ღიად ამ მსჯელობასა და დისკუსიაში. კი ბატონო, „ოცნება“ ამას მიხვდა და დებატები, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ამის საუკეთესო საშუალებაა. საკმაოდ რთული გზა გვაქვს კიდევ გასავლელი და ამ გეოპოლიტიკურ ტურბულენტობაში ისე უნდა მოვახდინოთ ლავირება, რომ ქვეყნის ინტერესები არ დავაზიანოთ. შესაბამისად, საზოგადოების ჩართულობით, ამ გზებზე უნდა ვიმსჯელოთ.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**



# 9 ბანდიტი მამაკაცი და ერთი სიტყვით- მკვლელი ჟურნალისტი ელისტრახო კილაძე



## პროკურატურამ „ქოლცენტრების" მორიგი მასშტაბური დანაშაული გამოავლინა — დაკავებულია ძველი თაღლითი და მამაძაღლი ელისო კილაძე!

**ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ.**

**„საქართველოს პროკურატურამ ქოლ-ცენტრების მორიგი მასშტაბური დანაშაული გამოავლინა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის და ფულის გათეთრების ბრალდებით, ათი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.**

ბრალდება დაუსწრებლად წარედგინებათ მიმალვაში მყოფ საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს **ოთარ ფარცხალაძეს** და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს – **დავით მიქაძეს, ირაკლი სეხნიაშვილს** და **მიხეილ ჩოხელს**, ხოლო ბრალდების დადგენილება პირადად გაეცნობა, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ **გიორგი მიქაძეს**.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი **ელისო კილაძე**.

ბრალდების დადგენილება ასევე წარედგინებათ ჯგუფის სხვა წევრებს – **გივი ჯიბლაძეს, ბენ ანორს, თორნიკე ჯანელიძეს** და **გიორგი კამლაძეს**, რომლებმაც ქმედითად ითანამშრომლეს გამოძიებასთან და არა მხოლოდ აღიარეს ჩადენილი დანაშაული, არამედ არსებითად შეუწყვეს ხელი ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ როგორც წინა პერიოდში ჩატარებულ ბრიფინგზეც განვაცხადეთ, 2020-2023 წლებში, მიუხედავად ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული სამართლებრივი ბრძოლისა, ქვეყანაში მაინც არსებობდა რამდენიმე ათეული თაღლითური ქოლ-ცენტრი. მოწმეთა ჩვენებებით, აღნიშნული ქოლ-ცენტრების დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა პირთა ჯგუფს, რომლებიც მიღებული შემოსავლებიდან სხვადასხვა ოპოზიციურ მედიასაშუალებას აფინანსებდა, ხოლო ქოლ-ცენტრების შედარებით მცირე ნაწილის მფარველობას, გრიგოლ ლილუაშვილი და ოთარ ფარცხალაძე, მათი უახლოესი გარემოცვის წევრების მეშვეობით ახორციელებდნენ.

**მოცემულ საქმეზე, საქართველოს პროკურატურის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ერთობლივად ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2020-2023 წლებში, საქართველოში ოთარ ფარცხალაძის მფარველობით ფუნქციონირებდა შეთანხმებულად მოქმედი სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანს მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება და შემდგომში ფულის გათეთრება წარმოადგენდა.**

ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა საქართველოში დააფუძნეს რამდენიმე იურიდიული პირი, რომელთა ბაზაზეც თბილისში, სხვადასხვა ლოკაციებზე მოაწყვეს თაღლითური ქოლ-ცენტრები, რუსულენოვანი, ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი განყოფილებებით. ქოლ-ცენტრების ოპერატორები, ხელმძღვანელი პირების მითითებისამებრ, მომხმარებლებს იზიდავდნენ ყალბ სავაჭრო პლატფორმებზე, მომგებიანი ინვესტიციის განხორციელების დაპირებით ახდენდნენ ვაჭრობაში ჩართვას და მომხმარებლების ინვესტირებული, დიდი ოდენობით თანხების თუ კრიპტოვალუტის მოტყუებით დაუფლებას, ხოლო შემდგომში უკანონო აქტივების განთავსებას, დანაწევრებას და ინტეგრაციას.

**ორგანიზებული ჯგუფის წევრთა ფუნქციები მოიცავდა დანაშაულებრივი ქოლ-ცენტრების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ქოლ-ცენტრის უკანონო საქმიანობის სამართალდამცავებისგან და სხვა კონკურენტი ორგანიზაციებისგან დაცვა-მფარველობას, გამოაშკარავების შემთხვევაში საინფორმაციო მხარდაჭერას ე.წ. ,,დაუმორჩილებელი კონკურენტების'' საქმიანობის გამჟღავნების უზრუნველყოფას.**

კერძოდ, გივი ჯიბლაძე, ბენ ანორი, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე უზრუნველყოფდნენ ქოლ-ცენტრის გამართულ ფუნქციონირებას, იღებდნენ გადაწყვეტილებებს ქოლ-ცენტრის გაფართოების ან ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ახორციელებდნენ საქმიან პროცესზე აქტიურ ზედამხედველობას, შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვას, ხელფასების და ბონუსების გაცემას, ასევე პარტნიორებისა და მფარველებისათვის გასანაწილებელი თანხების კალკულაციას და განაწილებას. ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრები – გიორგი მიქაძე, დავით მიქაძე, ირაკლი სეხნიაშვილი და მიხეილ ჩოხელი, ოთარ ფარცხალაძისა და მისი გავლენების მეშვეობით უზრუნველყოფდნენ ქოლ-ცენტრის დანაშაულებრივი საქმიანობის მფარველობას, რაც გულისხმობდა სამართალდამცავებისგან და კონკურენტი ორგანიზაციების ჩარევისგან დაცვას. ამასთან, მონაწილეობდნენ ქოლ-ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიც.

**აღსანიშნავია, რომ ქოლ-ცენტრის საქმიანობის გამოაშკარავების ან ასეთი რისკის არსებობის შემთხვევაში, სათანადო ინფორმაციის სხვადასხვა მედია პლატფორმაზე გავრცელებით, ელისო კილაძე უზრუნველყოფდა დანაშაულებრივი საქმიანობის კანონიერად წარმოჩენას. ამავდროულად, იმ კონკურენტი ქოლ-ცენტრების მხილების მიზნით, რომლებიც არ იყვნენ მათი გავლენის ქვეშ მოქცეული, ელისო კილაძის მიერ ხდებოდა მათი ადგილმდებარეობის და თანამშრომლების თაობაზე ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების დაგეგმვა, გავრცელების მუქარა თუ გავრცელება და შემდგომში მათი შანტაჟის გზით გადმობირებისთვის სათანადო პირობების შექმნა.**

გაწეული საქმიანობისათვის, საინფორმაციო მფარველები, არარეზიდენტი პირებისგან მოტყუებით დაუფლებული თანხებიდან, ყოველთვიურად სოლიდურ სარგებელს იღებდნენ.

რაც მხოლოდ ამ ეტაპზე გამოძიებით არის დადგენილი, 2020-2023 წლებში, დანაშაულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ორგანიზებული ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ უცხო ქვეყნის ორასზე მეტი მოქალაქის კუთვნილ, დაახლოებით 9.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტას.

შემდგომში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით, დაზარალებულებისგან მოტყუებით დაუფლებული ვირტუალური აქტივები დანაწევრებით, მრავალჯერადი ტრანზაქციებით ნაწილდებოდა სხვადასხვა კრიპტო საფულეებზე, რომლებსაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები განკარგავდნენ, ხოლო ვირტუალური აქტივების კონვერტაციის შედეგად მიღებული ნაღდი ფული, ხმარდებოდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საჭიროებებს – ხელფასების და ბონუსების გაცემას, ქოლ-ცენტრების მიმდინარე ხარჯების დაფარვას, ასევე, დანაშაულებრივი საქმიანობის ფარგლებში აკუმულირებული სახსრები, ჯგუფის წევრების მიერ, როგორც თითქოსდა კანონიერი გზით მიღებული შემოსავალი, მიმართული იქნა უძრავ-მოძრავი ქონებების შესაძენად.

**ოთარ ფარცხალაძის, გიორგი მიქაძის, დავით მიქაძის, ირაკლი სეხნიაშვილის, მიხეილ ჩოხელის, ელისო კილაძის, გივი ჯიბლაძის, ბენ ანორის, თორნიკე ჯანელიძის და გიორგი კამლაძის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 194-ე მუხლებით გამოტანილი ბრალდება, სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,** – აღნიშნავენ პროკურატურაში.

18 თებერვალი, 2026 წ.

**2020–2023 წლებში, დანაშაულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ორგანიზებული ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ უცხო ქვეყნის ორასზე მეტი მოქალაქის კუთვნილ, დაახლოებით 9.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტას.**



## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური: 13 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულია 29 პირი!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ბოლო დღენახევრის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული რამდენიმე ღონისძიების შედეგად 13 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 29 პირი** – ამის შესახებ სუს-ის უფროსის პირველმა მოადგილემ **ლაშა მაღრაძემ** ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, „კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ეგრეთ წოდებული შუა რგოლის კორუფცია“.

**„პირველ რიგში, მოგიყვებით იმ ღონისძიების შესახებ, რომელიც კონტრდაზვერვისა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტების თანამშრომლებმა ერთობლივად ჩაატარეს. ოპერატიული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო შეძენის მცდელობისას ქუთაისში უცხო ქვეყნის ორი მოქალაქეა დაკავებული, რომლებიც გეგმავდნენ ბირთვული მასალის, ურანისა და რადიაქტიური ნივთიერების, ცეზიუმ 137-ის უკანონო შეძენას სამ მილიონ აშშ დოლარად და მის უკანონო ტრანსპორტირებას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად უცხო ქვეყნის მოქალაქეები ბოლო კვირების განმავლობაში პერმანენტულად ჩამოდიოდნენ საქართველოში და აქტიურად იყვნენ დაკავებული ბირთვული მასალისა და რადიაქტიური ნივთიერების შეძენა-ტრანსპორტირებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.**

იხ. 11 გვ.

**„საით მიდიხარ, ევროპა?“** – ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული თურქეთის ინგლისურენოვან გაზეთ **„დეილი საბაჰში“ (Daily Sabah)** სტატია, რომლის ავტორი, პოლიტიკური მიმომხილველი მუხიტინ ატამანი ევროკავშირის წინაშე მდგარ შიდა და გარე პრობლემებს აანალიზებს. **„ევროპის ქვეყნების მიერ სხვების წინააღმდეგ გატარებული უსამართლო შერჩევითი დიპლომატია მათივე მიმართ ნდობას არღვევს, ევროპის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება ძირს უთხრის მათივე ერთიანობას. ევროპის ქვეყნები ჭრიან იმ ტოტს, რომელზეც თვითონ სხედან“**, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

DAILY SABAH




# „საით მიდიხარ, ევროპა?“

## როგორ ფიქრობენ თურქეთში...

**ევროკავშირში სულ უფრო მეტად შესამჩნევი ხდება წესრიგზე დაფუძნებული იმ ლიბერალური საერთაშორისო სისტემის განადგურება, რაც თავის დროზე მისი ჩამოყალიბების მთავარი მიზეზი იყო. ევროკავშირი შეიქმნა დასავლეთევროპული სახელმწიფოების მიერ, სტრატეგიული პოლიტიკური მიზნით – ლიბერალური ნორმების რეალური განხორციელება-დანერგვისათვის, რასაც მხარს უჭერდა კონტინენტის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. 1990-იანი წლებისათვის ევროკავშირი თანამედროვე ეპოქის ყველაზე წარმატებულ რეგიონულ ინტეგრაციულ პროექტს წარმოადგენდა: მან თავისი განვითარება-აყვავების პიკს მსოფლიოს ბიპოლარული სისტემის იდეოლოგიური კრახის შემდეგ მიაღწია, მაგრამ შემდეგ დასუსტება დაიწყო.**

მიზეზები საკმაოდ მნიშვნელოვანია: ერთი მხრივ, ევროკავშირი აღმოჩნდა უჩვეულოდ მომრავლებული ტრადიციული გამოწვევების წინაშე, რომლებიც გამწვავდნენ გლობალური მეტოქეობის ზრდითა და არადასავლური ქვეყნების გაძლიერებით, რეგიონული ეკონომიკური კრიზისებით. მეორე მხრივ, ევროკავშირი შეეჯახა ახალ როგორც შიდა, ასევე გარე გლობალურ გამოწვევებსაც, გამოხატულს კლიმატის ცვლილებით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში ჩამორჩენით, ხელოვნური ინტელექტით და მიგრაციით. მათი ნეგატიური გავლენის შედეგად ევროკავშირის როლი საერთაშორისო სისტემაში შემცირდა.

**ევროკავშირი და ევროპის კონტინენტი სხვადასხვა პარამეტრებით გაიყო:**

**პირველი – ევროკავშირის შიდა ურთიერთობებში გამოკვეთილია როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული აღმოსავლეთი-დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთი-სამხრეთის ხაზები: დასავლელები აღმოსავლელებთან შედარებით თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ, ვიდრე აღმოსავლელები – რუსეთის ფაქტორის გამო. ამიტომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში მათ შორის გარკვეული პრობლემები არსებობს. გარდა ამისა, შედარებით უფრო განვითარებულ ჩრდილოელ (სკანდინავიურ) ქვეყნებს არ სურთ გაიზიარონ იმ სამხრეთევროპული ქვეყნების ტვირთი (მაგალითად, მიგრაციასთან დაკავშირებით), რომლებიც აფრიკასთან და ახლო აღმოსავლეთთან ახლოს მდებარეობენ. ანუ მთლიანობაში ევროკავშირის წევრი სამხრეთევროპული ქვეყნები უფრო მოწყვლადები არიან, ვიდრე ჩრდილოელები.**

**მეორე პარამეტრი გამოიხატება ტრანსატლანტიკურ ალიანსში შექმნილი სიტუაციით – აშშ-სა და ევროპის კონტინენტს შორის გაჩენილი პრობლემებით. დონალდ ტრამპის მეორე ადმინისტრაციის მმართველობის დროს თეთრმა სახლმა „ბებერ“ ევროპას მეტი აქტიურობა მოსთხოვა ნატოს სამხედრო ხარჯების ზრდის საკითხში, რის გამოც ევროპელთა უკმაყოფილება გამწვავდა. ამას დაემატა დონალდ ტრამპის პოლიტიკური დისკურსი „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“, რაც ფაქტიურად აშშ-ის ევროპისაგან დისტანცირებას ნიშნავს. მოკლედ, ატლანტიკის ორივე ნაპირის ინტერესების ერთმანეთთან დაშორება ფართოვდება.**

გამწვავებული გეოპოლიტიკური მეტოქეობის შედეგად ევროპამ, რომელიც აშშ-ის, რუსეთსა და ჩინეთს შორისაა მოქცეული, დაკარგა თავისი ეკონომიკური, სამხედრო და ტექნოლოგიური უპირატესობა. ტრანსატლანტიკური სამხედრო კავშირი, რომელიც ადრე მონოლითურის შთაბეჭდილებას ტოვებდა, დღეს მნიშვნელოვნად არის შესუსტებული – აშშ ევროპის უსაფრთხოების დაცვის მტკიცე გარანტორად ვეღარ ჩაითვლება, ამერიკული ქოლგა ევროპას ძველებურად საიმედოდ ვეღარ ფარავს.

**ევროპა ვერ შეძლებს აღნიშნული სამი სახელმწიფოდან რომელიმე ყველა სფეროში შეჯიბრისთვის გამოიწვიოს. რუსეთი ევროპისათვის სერიოზულ მუქარა-საფრთხეს წარმოადგენს, განსაკუთრებით უკრაინაში შეჭრის შემდეგ. ევროპელები შეშფოთებულნი არიან რუსული ექსპანსიონიზმით. ანუ სამხედრო თვალსაზრისით ევროპის მიმართ ამერიკული მხარდაჭერა აუცილებელია. ტექნოლოგიური თვალსაზრისით ევროპა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ან აშშ-ზე, ან ჩინეთზე.**

**ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: ევროპის ქვეყნებში მნიშვნელოვანი გაურკვევლობა სუფევს. ევროკავშირი და ევროპის სხვა ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლები, უგუნურობის გამო, ჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან. ევროპელ ლიდერებს არ შეუძლიათ საერთო პოზიციებისა და ინტერესების მტკიცედ დაცვა დღევანდელ მღელვარე მსოფლიოში, ერთმანეთს ექიშპებიან და ამით თვითონვე ძირს უთხრიან საკუთარ ერთიანობას იმ დროს, როცა საერთაშორისო პოლიტიკის ნეგატიური მოვლენების წინაშე ერთობლივად უნდა იმოქმედონ – ეს იქნება ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და თუ ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხები.**

ევროპა აკრიტიკებს შეერთებულ შტატებს ან რუსეთს განსაზღვრულ საკითხებში და იმავდროულად იმავე საკითხებში სხვებს მხარს უჭერს. მაგალითად, ევროპის ქვეყნები მკაცრად გმობენ რუსულ ექსპანსიონიზმს – უკრაინაზე თავდასხმას, მაგრამ მხარს უჭერენ ისრაელის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ევროპის ქვეყნები მზად არიან კიდევ უფრო გაამკაცრონ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ კრემლის აგრესიული პოლიტიკის გამო, მაგრამ აგრძელებენ ისრაელის მხარდაჭერას, რომელიც აგრესიულობას იჩენს ღაზას სექტორისა და სხვა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის მიმართ.

ევროპა შეშფოთებას გამოხატავს უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო, მაგრამ გარკვეულწილად გულგრილობას იჩენს, როცა ღაზას სექტორში 20 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები იღუპება. ევროპის სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, სიტყვით ყოველთვის იცავენ სუვერენიტეტს, ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, გამოდიან სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დასაცავად, გმობენ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულს, ებრალებათ უწყლოდ და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქეები, ბავშვები, მოხუცები და ქალები...

მაგრამ იმავდროულად ისინი ჩუმად არიან და არაფერს არ ამბობენ, როცა ისრაელის ბომბების ქვეშ ინგრევა ღაზას ინფრასტრუქტურა, საავადმყოფოები, როცა არ არის წყალი, გაზი, ელექტროენერგია, როცა შიმშილი ზეწოლის იარაღად არის გამოყენებული, როცა იღუპებიან ბავშვები, ქალები და მოხუცები...

**საბოლოო ჯამში, ევროპული სახელმწიფოები არ გმობენ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევას მრავალი ქვეყნის მხრიდან. ასეთმა არათანმიმდევრულმა მიდგომებმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ევროპა შერჩევითად გამოხატავს სოლიდარობას დანარჩენი მსოფლიოს მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანარჩენი მსოფლიო ევროპას აღარ ენდობა. ევროპის სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის ნორმების დასაცავად მხოლოდ მაშინ გამოდიან, როცა ეს მათ ინტერესებს ემსახურება. ამიტომაც მათ აუცილებლად უნდა გადახედონ თავიანთ დღევანდელ პოზიციებს კრიზისული სიტუაციების მიმართ და უნდა გამოავლინონ თანმიმდევრული, სამართლებრივი და ზნეობრივ-მორალური მიდგომა ყოველი საკითხისადმი. საწინააღმდეგო შემთხვევაში ევროპას სამომავლოდ სიტუაცია კიდევ უფრო გაურთულდება და პრობლემები გაუსამაგდება.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



# დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზის ძმა ენდრიუ მაუნტბატენ-უინძორი დააკავეს

– ამის შესახებ **„ბიბისი“** ავრცელებს ინფორმაციას. მეფე ჩარლზის ძმა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

**„გამოძიების ფარგლებში დავაკავეთ მამაკაცი ნორფოლკიდან, საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების გამო. ჩხრეკა მიმდინარეობს ბერკშირისა და ნორფოლკის მისამართებზე. მამაკაცი ამ დროისთვის პატიმრობაში რჩება. ეროვნული რეკომენდაციების თანახმად, დაკავებული მამაკაცის ვინაობას არ დავასახელებთ. გთხოვთ, ასევე გახსოვდეთ, რომ ეს საქმე ამჟამად აქტიურია, ამიტომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ ნებისმიერი პუბლიკაციის მიმართ, რათა სასამართლოს უპატივცემულობა თავიდან აიცილოთ“**, – ნათქვამია ტემზის ველის პოლიციის განცხადებაში. პოლიცია დაკავებულის ვინაობას არ ასახელებს, თუმცა მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული პირი ენდრიუ მაუნტბატენ-უინძორია.

**ცნობისთვის, ენდრიუ მაუნტბატენ-უინძორი ჯეფრი ეპშტეინთან მეგობრობის გამო წლების განმავლობაში კრიტიკის ობიექტი იყო. ეპშტეინთან ურთიერთობა მას სამეფო ოჯახში თავისი როლისა და ტიტულის, ასევე სახლის დაკარგვის ფასად დაუჯდა, თუმცა ენდრიუ რაიმე სახის დანაშაულის ჩადენას ყოველთვის უარყოფდა. რაც შეეხება ეპშტეინის საქმესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ბოლო ფაილებს, ამის თაობაზე მას კომენტარი არ გაუკეთებია.**

**9 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზის ძმამ ენდრიუ მაუნტბატენ-უინძორმა 2010 წელს ბრიტანეთის ოფიციალური სავაჭრო დოკუმენტები ჯეფრი ეპშტეინს გაუზიარა. როგორც უცხოური მედია წერს, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ფაილების ბოლო პარტია მოიცავს ელექტრონულ წერილებს, რომლებიც აჩვენებს, რომ ენდრიუმ ეპშტეინს გადაუგზავნა ანგარიშები ვიეტნამის, სინგაპურისა და სხვა ადგილების შესახებ. საუბარია ინფორმაციაზე, რომელიც ყოფილ პრინცს საზღვარგარეთ მისი ოფიციალური ვიზიტების დროს მიაწოდეს. კონფიდენციალურობის წესების თანახმად, ასეთ შემთხვევებში მესამე პირებთან კონფიდენციალური ან კომერციული დოკუმენტების გაზიარება აკრძალულია.**



# „საქართველოს ფოსტამ“ ანზორ ერქომაიშვილისა და თამარ მამალაძის საფოსტო მარკების პრეზენტაცია გამართა

**„საქართველოს ფოსტამ“ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ლოტბარისა და ფოლკლორისტის – ანზორ ერქომაიშვილისა და პირველი ქართველი ქალი ეთნომუსიკოლოგის – თამარ მამალაძის საფოსტო მარკების პრეზენტაცია გამართა.**

მარკები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით გამოიცა. იდეის მხარდამჭერები არიან კულტურისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები.

ღონისძიებას კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.

**„დღეს კიდევ ერთხელ გავიხსენეთ დიდი ქართველი ეთნომეცნიერები – ბატონი ანზორ ერქომაიშვილი და ქალბატონი თამარ მამალაძე. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ფოლკლორის გადარჩენასა და კვლევაში. მადლობას ვუხდი „საქართველოს ფოსტასა“ და ეკონომიკის სამინისტროს იმისთვის, რომ დღეიდან ამ დიდი ადამიანების ხსოვნის უკვდავყოფა, საფოსტო მარკის სახით, კიდევ ერთი ფორმით გახდა შესაძლებელი“,** – განაცხადა თინათინ რუხაძემ.







# ქედაში სოფელ ზვარესა და ვაიოს დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა დასრულდა

**ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზვარესა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა დასრულდა**, – ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, ახალი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს, ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

**„თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხიდი 87 მეტრი სიგრძისა და 9,5 მეტრი სიგანისაა. ხიდით 250 ადგილობრივი ოჯახი ისარგებლებს. პროექტის ფარგლებში მოეწყო ქვეითთა სასიარულო ზოლი და დამონტაჟდა გარე განათების სისტემა. ხიდის მიმდებარედ ასევე აშენდა ტრანსპორტის მოსაცდელი სივრცე. 2026 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი რეგიონის მასშტაბით 35 ხიდის მშენებლობასა და რეაბილიტაციას განახორციელებს, რაც რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ცხინვალელი მწიგნობარი, მეცნიერი, პუბლიცისტი

## ავთანდილ ცოტნიაშვილი – 90

**„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო...“ – ბუნების გამოღვიძების ამ თვის პირველ დღეს კვლავაც მონატრებული ტკივილით ვიხსენებთ ცხინვალელ მწიგნობარს, მეცნიერს, პუბლიცისტს, ქართული სიტყვის ოსტატსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს ავთანდილ ცოტნიაშვილს, რომელსაც 1 თებერვალს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.**



**წინაპართა კერაზე, პატარა ლიახვის ხეობის თვალწარმტაც სოფელ ერედვში, – „ქვეყნის მერვედში,“ – გაჭირვებაში გაზრდილს, ყველა ხელმოკლე-უპოვარი ეცოდებოდა, პატივს მიაგებდა და საერთო ენასაც უფრო მეტად მათთან პოულობდა. ნაცნობს, მეგობარს, უანგაროდ უწვდიდა დახმარების ხელს და ამით ერთგვარ შვებას გრძნობდა.**

სწავლას მოწყურებული ყმაწვილი, მშობლიური ზერულის საშუალო სკოლის კედლებში ეზიარა პოეზიის მადლს, სიტყვაკაზმულ ქართულ მწერლობას. სიჭაბუკეში შესული, მტკიცე ნებისყოფით ისწრაფვოდა მეცნიერული მწვერვალების დასალაშქრავად. საწადელი კიდეც აისრულა – ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, რუსეთში გაემგზავრა და ცოდნა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში გაიღრმავა. მერე, ასპირანტურის კურსი თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში წარმატებით გაიარა.

გასაოცარი შრომისმოყვარეობა, მიზნობრივი კვლევა-ძიება, ცოდნის დაგროვება და ახალგაზრდებისთვის გადაცემა, ფრიად განსწავლული მეცნიერის შინაარსიანი ცხოვრების მთავარი ორიენტირი გახლდათ. „მიეცი ნიჭსა გზა ფართო,“ – მომავალ, იმედისმომცემ თაობას ცოდნას სწორედ ამ მიმართულებით აწვდიდა ლეგენდად ქცეული ლექტორი-ორატორი. როგორც მის ნასტუდენტარს, მახსენდება, – ჩვევად ჰქონდა, მაღალი მოსწრების სტუდენტებს ჩვენივე ხელით ჩაგვაწერინებდა „ფრიადს“ ჩათვლის წიგნაკში...

ლიახვისპირა ძირძველ ქართულ ქალაქში, ამა ქვეყნიდან ადრე წასული (62 წ.) მოძღვრისა და სათნო, დამსახურებული მასწავლებლის ეთერ ტურაშვილის ფუძძლიერ ოჯახში აღიზარდნენ, სამზეოზე მამის დარჩენილ ღრმა კვალს სამაგალითოდ აგრძელებენ და დღეს პროფესორის რანგში გვევლინებიან: სიყრმის შვილი სოსო (თბილისის „კომაროველი“ მათემატიკოსი); უფრო შორს წავიდა უმცროსი ვაჟი (ფილოლოგი) – ზაზა, რომელიც ჯერ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. გორში), შემდეგ, ახლადგაერთიანებული ქართლის მეთაური ქალაქისა და დევნილი უმაღლესი სასწავლებლების – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ. ცნობილი კონფლიქტოლოგი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, განათლების სახლის დამფუძნებელი და დირექტორი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი ამჟამად სამეცნიერო საქმიანობას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აგრძელებს.

პროფ. ავთანდილ ცოტნიაშვილის კალმის ნაყურში, ძირითადად, საქართველოს განუყოფელი კუთხის – ცხინვალის რეგიონის ლიტერატურული ცხოვრების ახლის ძიებაა. ამის დასტურია ის კომპეტენტური, ღრმაშინაარსიანი პუბლიკაციები, სისტემატურად რომ ქვეყნდებოდა რეგიონულ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. იგი ქართული კულტურის, ხელოვნების წარმატებებით საზრდოობდა, გამოჩენილ შემოქმედთა წრეში ტრიალებდა და საქმით გამართლებულ სიტყვასაც ამბობდა.

ამაგდარმა პროფესორმა, შემოქმედებითი **მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველებისა და ოსების ლიტერატურულ ურთიერთობა-თანადგომასა და ფოლკლორის კვლევა-ძიებას მიუძღვნა. მისი ფუნდამენტური ნაშრომები, – „ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან,“ დღემდე დარგის თვალსაჩინო მონაპოვარია.** ამასთან, საყურადღებოა ლიახვისპირელი პუბლიცისტის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რეცენზიები, ნარკვევები... პროფ. ავთანდილ ცოტნიაშვილს ქართულ ჟურნალისტიკაშიც სიტყვა ეთქმის და ამით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ნიჭიერი ადამიანის სამოქმედო ასპარეზი ფართოა, თუ კალამი ძალუმად გიჭრის და პროფესია გიზიდავს.

დაუვიწყარია ლეგენდარული ორატორის **„პრინციპული და პატრიოტული გამოსვლები, მათ შორის რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე, თბილისის ფილარმონიაში, სადაც რთულ პერიოდში ეროვნულ პოზიციას მტკიცედ იცავდა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის, ცხინვალისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ყველგან, სადაც ის ტრიალებდა, დარჩა მისი, როგორც უბადლო ლექტორის კვალი.“**

თაკარა ზაფხულის იმ ნავსიან დღეს გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“ (ივნისი, 1998 წ.) მწუხარებით იუწყებოდა: „რაოდენ გულსატკენია, რომ გორის სასტუმრო „ქართლში“ გამოიკეტა დროებითი თავშესაფარის კიდევ ერთი კარი, საიდანაც მუდამ სინათლე გამოდიოდა. ვაგლახ, ბედისწერავ! ამიერიდან, ხმაურიან და სტუმრიან N201 ოთახში სიჩუმე დაისადგურებს. ძნელია, ძალზე ძნელია რვა გაუსაძლისი წლის მანძილზე ერთი საერთო ტკივილ-სიხარულით, ერთ საერთო ჭერქვეშ შეყუჟულ და შეთვისებულ დევნილებისთვის თანამემამულის გამოკლება, თანაც ისეთის, ბატონი ავთანდილი რომ იყო.“

ქართლის მეთაურ ქალაქში დევნილი ლიტერატურული გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თამაზ წივწივაძის სამძიმრის დეპეშა: **„გორი, ცაბაძის 5, მწერალთა კავშირის შიდა ქართლის განყოფილება, ცოტნიაშვილების ოჯახს – ძალზე დაგვამწუხრა მშვენიერი ქართველი მწერლისა და მეცნიერის ავთანდილ ცოტნიაშვილის გარდაცვალებამ. ბატონი ავთანდილი ქართველი კაცის ქედუხრელობისა და ვაჟკაცობის ნიმუშად მიგვაჩნდა. დევნილობამ ვერ გატეხა მისი კაცური ღირსება. ამიერიდან იგი ზეციური საქართველოს მკვიდრი ხდება.**

**გთხოვთ, გადასცეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი განსვენებულის ოჯახს.“**



სახელოვან ერისკაცს – მწერალს, პუბლიცისტსა და მეცნიერს, ცხინვალში საკადრისად დაბრუნების ოცნება ნაწილობრივ აუხდა, რამეთუ სამარადისო სასუფეველი, – სადაც შობილა, გაზრდილა, – ერედვში, ცოტნიაშვილების საგვარეულო სასაფლაოზე, მისთვის ხატება-საფიცარი მეუღლის, ეთერის გვერდით დაიმკვიდრა.

დრო კი გასულა... **სასიქადულო მამულიშვილის ხსოვნის სანთელი კვლავაც დიდხანს იკაშკაშებს, ხოლო დაუვიწყარი მოძღვარის გვარსახელი, – ავთანდილ ცოტნიაშვილი, – უკვე ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს უმაღლესი პედაგოგიური განათლების ისტორიაში.**

**როზერტ ოდიკაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# ფავორიტის ტვირთი



**მილანი-კორტინას ზამთრის ოლიმპიადაზე გერულავა-მეტელკინას წყვილის მიერ ფიგურისტთა ტურნირში მოპოვებული ისტორიული პირველი ქართული ვერცხლის შემდეგ მადა ჭამაში მოგვივიდა და უკვე მეორე მედლის მოხვეჭის საკმაოდ საფუძვლიანი ამბიციაც გაგვიჩნდა, რადგან იტალიურ ყინულზე ფორუმის ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ მონაწილეს ანასტასია გუბანოვას მოკლე პროგრამით უძლიერესთა ჯგუფში უნდა ესრიალა.**

ევროპის 2023 წლის ჩემპიონმა და რამდენიმეგზის პრიზიორმა იმედები გაგვიმართლა, 29 კონკურენტთან ბრძოლაში მე-6 შედეგი აჩვენა და საპატიო კვარცხლბეკზე შებიჯების შანსი შეინარჩუნა (71,77 ქულა).

მან ტექნიკურ ელემენტებში 38,28 ქულა დაიმსახურა, ხოლო პროგრამულ კომპონენტებში – 33, 49, ლიდერთა ტრიოს კი 5 ქულით ჩამორჩებოდა, რაც სულაც არაა გადამწყვეტი ფაქტორი.

სხვათა შორის, საქმეში ჩახედულთაგან ისიც მოვისმინეთ, რომ მიუხედავად ამერიკელ და იაპონელ კონკურენტთა მრისხანებისა, ჩვენ იმედს თავისუფალ პროგრამაში უკეთესად გამოსვლის ფაქტორი ასაზრდოებდა. ასე რომ...

## სადარბაზო ბარათი

ანასტასია გუბანოვა დაიბადა 2002 წლის 2 დეკემბერს რუსეთის სამარის ოლქის ქალაქ ტოლიატიში.

კვებით აშლილობის პრობლემების გამო მშობლებმა 4 წლის ასაკში ექიმების რჩევით ფიგურულ სრიალზე შეიყვანეს და მალევე სანქტ პეტერბურგში გადაიყვანეს სავარჯიშოდ (მწვრთნელი – ანგელინა ტურენკო). ეუფლებოდა აგრეთვე როგორც რითმულ, ისე მხატვრულ ტანვარჯიშსა და ბალეტს ვაგანოვას განთქმულ აკადემიაში. უამრავ ასაკობრივ ტურნირში მოპოვებული წარმატებების შემდეგ ანასტასიამ 2021 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ჯერ 2023 წელს ევროპის ჩემპიონი, 2024 წელს კი ვიცე-ჩემპიონი გახდა.

კუმირები – კაროლინა კოსტნერი და კაორი საკამოტო. მეუღლე – რომან გალაი (2024 წლიდან).



# მეტი რადა ქნან?

**ჯერ მხოლოდ საფეხბურთო გაზაფხული ახლოვდება, ქართველმა ბომბარდირებმა კი უკვე ისეთი კონდიციები აკრიფეს, თქვენი მოწონებული.**

მოდით, ამჯერად მათ ნაკაიკაცარზე საუბარი **გიორგი მიქაუტაძით** დავიწყოთ, რომელმაც ესპანურ პრიმერაში ზედიზედ მე-3 შეხვედრაში გატანილი ბურთით ვილიარეალს ლევანტესთან 1:0 მოაგებინა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე დააბრუნა. ამავე დროს, ეს ზუსტი დარტყმა სეზონში საიუბილეო – მე-10 აღმოჩნდა, რაც, დაგვეთანხმებით მწვრთნელისაგან გამეტებული შეზღუდული სათამაშო დროის ფაქტორის გათვალისწინებით ღირსეული შედეგია (8 გოლი აღნიშნულ გათამაშებაში, თითო-თითო კი სამეფო თასსა და ჩემპიონთა ლიგაში).

ამ უკანასკნელში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **ხვიჩა კვარაცხელიამ,** მაგრამ რად გინდა – მის მიერ მონაკოში გამომუშავებული პენალტი ვიტინიამ მეკარესთან დუელის წაგებით დაასრულა, მეორე ეპიზოდში კი კვარამ დიდებული დრიბლინგი მცირეოდენ არაზუსტი დარტყმით გააფერმკრთალა.

და მაინც, კოშმარული დასაწყისისა და 0:2-ის შემდეგ **ლუის ენრიკეს** გუნდმა **დეზირე დუეს** დუბლით, რომელმაც ტრავმირებული **უსმან დემბელე** შეცვალა, პლეი-ოფის პირველი გასვლითი რაუნდი 3:2 მოიგო და, სავარაუდოდ, უნდა გააგრძელოს ტიტულის დაცვა (კიდევ ერთხელ **აშრაფ ჰაკიმიმ** იყოჩაღა).

მთლიანობაში სენსაციად უნდა ჩაითვალოს სამივე იტალიური კლუბის კრახი სტუმრად გამართულ შეხვედრებში საერთო ანგარიშით 3:10(!), ხოლო მადრიდის რეალმა უმძაფრეს ბრძოლაში რევანში აიღო პორტუგალიაში ბენფიკასთან ამასწინანდელი მარცხისათვის – 1:0.

და ბოლოს, რაც შეეხება სამეზობლოს, ეტყობა, ყარაბაღის ზღაპარი ისტორიის კუთვნილება გახდება, რადგან ნიუკასლთან საშინაო ფიასკოს (1:6) შემდეგ ვალმოხდილი აზერბაიჯანელები ერთ კვირაში დამსახურებული ტურისტული საგზურით ეწვევიან ინგლისს.

**გალათასარაი-იუვენტუსი 5:2, ბრიუგე-ატლეტიკო 3:3, დორტმუნდი-ატალანტა 2:0, ოლიმპიაკოსი-ლევერკუზენი 0:2, ბოდო გლიმტი-ინტერი 3:1.**

# იტანს და იტანს, მაგრამ...



**ხელბურთის ჩემპიონთა ლიგის მე-11 ტურში ხორვატულმა „ზაგრებმა“ „პარი სენ-ჟერმენს“ უმასპინძლა და 24:35 დამარცხდა.**

ფრანგებმა პირველივე ტაიმში 8-ბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს, რაც ხელიდან აღარ გაუშვიათ.

„ზაგრების“ რიგებში საუკეთესო **გიორგი ცხოვრებაძე** იყო, რომელმაც 5 გოლი გაიტანა (7 დარტყმიდან) და გუნდის საუკეთესო მეგოლე გახდა, მაგრამ იგი მარცხისგან ვერ იხსნა. ქართველ ხელბურთელს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში 25 გოლი აქვს გატანილი. „ზაგრები“ 11 ტურის შემდეგ 2 ქულით (1 მოგება, 10 წაგება) ჯგუფში ბოლო ადგილზეა და მომდევნო ტურში 26 თებერვალს, „ბარსელონას“ ესტუმრება.




# ლომები უნდა დავტოროთ

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ხვალ თბილისში, „ავჭალაზე“ ესპანელ „ლომებს“ დაუხვდება და მათი დამარცხებით 2026 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას შეეცდება. თამაში 15 საათზე დაიწყება.**

ჯგუფური ეტაპის განვლილ ორ ტურში ორივე გუნდმა გამარჯვებები მოიპოვა და თასის ნახევარფინალში თამაში ორივემ დაიზევა.

მომავალმა შეხვედრამ უნდა გაარკვიოს ვინ დაიკავებს ჯგუფში პირველ ადგილს და შესაბამისად, ვინ ისარგებლებს თასის ნახევარფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობით. ნახევარფინალები 7 და 8 მარტს გაიმართება.

ესპანეთთან თამაშს საქართველო ნამატით ხვდება, რადგან გაფართოებულ შემადგენლობას ერთბაშად ექვსი მოთამაშე დაემატა.

შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ გუნდს დაუბრუნდნენ „კლერმონის“ ბურჯი გიორგი ახალაძე, „ლა როშელის“ კვაჭი ნიკოლოზ სუთიძე, „სტად ფრანსეს“ ბურჯი გიორგი მელიქიძე და „ტულონის“ მეორეხაზელი გიორგი ჯავახია.

მათ გარდა დაგვემატა ორი ფულბეკი – დავით ნინიაშვილი „ლა როშელიდან“ და ლუკა ცირეკიძე „შავი ლომიდან“, ხოლო საკუთარ კლუბს, „ოიონას“ დაუბრუნდა მეორეხაზელი თემურ წულუკიძე.

ესპანეთში რაგბის თამაში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყეს, 1923 წელს კი რაგბის ფედერაცია დააარსეს და 1934 წლიდან რაგბი ევროპის წევრები გახდნენ. ნაკრები პირველად 1929 წელს შეიკრიბა და იტალიას 9:0 აჯობა. გუნდმა არსებობის განმავლობაში ერთადერთხელ, 1999 წელს ითამაშა მსოფლიო თასზე და 2027 წელს მსოფლიოს უმაღლეს ფორუმზე მეორედ წარსდგება. ყველაზე დიდი სხვაობით – 90:8, ესპანეთმა 1995 წელს ჩეხეთი დაამარცხა, თავად კი 2001 წელს ავსტრალიასთან დამარცხდა – 10:92.

2000 წელს ერთა თასის (ამჟამად რაგბი ევროპის ჩემპიონატი) დაარსებიდან დღემდე, საქართველო ესპანეთს თითქმის ყოველ წელს ერკინებოდა. გამონაკლისი მხოლოდ 2005 წელი იყო, რის საპირწონედაც „ლომებს“ 2014 წელს ორჯერ ვეთამაშეთ. ჯამში 27 შეხვედრიდან 14 შინ გავმართეთ და 13 სტუმრად, მოვიგეთ 23, ერთი თამაში ფრედ დავასრულეთ, 3-ჯერ კი მეტოქემ იმარჯვა – ბოლოს 2012 წელს და მას შემდეგ ბორჯღალოსნებს ესპანეთთან 15-მატჩიანი გამარჯვებების სერია აქვთ.

**განვლილ 27 თამაშში საქართველომ ესპანეთს 127 ლელო და 898 ქულა „უძღვნა“, თავად კი 43 ლელო და 400 ქულა მიიღო. მოცემული მომენტისთვის ესპანეთი მსოფლიო რეიტინგში მე-15 ადგილზეა (69,16 ქულა) და საქართველოს (73,18 ქულა) 2 საფეხურით ჩამორჩება.**

# თასი უკვე თბილისშია

**ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მოქმედმა გამარჯვებულმა სამხრეთ აფრიკამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრებთან ორი ტესტ-მატჩის გასამართავად გვეწვია, თასი საქართველოში ჩამოიტანა.**

მოგეხსენებათ, 2026 წლის პლანეტის ახალგაზრდულ ჩემპიონატს, რომლის მონაწილე გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა, საქართველო მასპინძლობს. თამაშები თბილისსა და ქუთაისში 27 ივნისს დაიწყება და 18 ივლისს დასრულდება. ფინალურ შეხვედრამდე მთავარი ჯილდო საქართველოში დაიდებს ბინას და ახალ მფლობელს დაელოდება.



2020-2022 წლებში 20-წლამდელთა ჩემპიონატი კოვიდ-პანდემიის გამო არ ჩატარდა. აქამდე გამართული 15 ტურნირიდან ყველაზე მეტჯერ, 3-3-ჯერ მას სამხრეთ აფრიკამ და იტალიამ უმასპინძლა; ორ-ორჯერ არგენტინამ და საფრანგეთმა, თითო-თითოჯერ კი უელსმა, იაპონიამ, ახალმა ზელანდიამ, ინგლისმა და საქართველომ.

საქართველოში პირველი ჩემპიონატი 2017 წელს გაიმართა და მაშინ ჩვენმა ქვეყანამ, როგორც მასპინძელმა, მსოფლიო რაგბისგან საუკეთესო შეფასება მიიღო.

აქამდე 20-წლამდელთა ჩემპიონატი სულ 4 გუნდს მოუგია. ყველაზე მეტჯერ – 6-ჯერ ჩემპიონი ახალი ზელანდია (2008, 2009, 2010, 2011, 2015 და 2017) გახდა; თასი 4-ჯერ შემართა ინგლისმა (2013, 2014, 2016 და 2024), 3-ჯერ საფრანგეთმა (2018, 2019 და 2023) და 2-ჯერ სამხრეთ აფრიკამ (2012 და 2025).

2011 წელს საქართველომ ალაფას უმასპინძლა და მაშინ მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა, 2015 წელს კი ალაფის მოგებით ჩემპიონატზე დაწინაურდა.

2016 წელს საქართველო გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ალაფიდან აღზევების შემდეგ ჩემპიონატში ადგილი შეინარჩუნა და მას შემდეგ 12 უძლიერესს შორის მუდამ თამაშობდა. საუკეთესო შედეგი 2023 წელს გვქონდა და მაშინ მე-8 ადგილი დავიკავეთ. დანარჩენ ტურნირებში საქართველო 3-ჯერ მე-9 და ასევე სამჯერ მე-10 ადგილზე გავიდა.

2026 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები **ა ჯგუფში,** მოქმედ ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან, უელსთან და ურუგვაისთან ითამაშებს.

ა და გ ჯგუფის თამაშები თბილისში, „ავჭალის“ სტადიონზე ჩატარდება, ხოლო ბ და დ ჯგუფის შეხვედრებს ქუთაისის „აია არენა“ უმასპინძლებს. ფლეი ოფები ორ დღეზე იქნება განაწილებული, ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩები კი „მიხეილ მესხის“ სტადიონზე შედგება.

საქართველოს რესპუბლიკა



## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:

# 13 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულია 29 პირი!

(მეშვიდე გვერდიდან)

საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ნივთიერებები გამოიყენება სხვადასხვა დანაშაულებრივი, მათ შორის, ტერორისტული მიზნებისთვის. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-230-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პარალელურ რეჟიმში ჩატარებული რამდენიმე ანტიკორუფციული ღონისძიების შედეგად ხე-ტყის უკანონო მოპოვების, სამსახურებრივი გულგრილობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე პასუხისგებაში მიეცა 12 პირი. მათ შორისაა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, იმერეთის სატყეო სამსახურის ყოფილი თანამშრომლები. ასევე, მარტვილის სატყეო უბნის წარმომადგენელი, ამავე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ორი პირი. მსგავსი საქმე უკავშირდება ვანის მუნიციპალიტეტს, სადაც სამსახურებრივი სიყალბის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და მერქნიანი მცენარეების უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე ბრალდება სამ პირს წარედგინა.

ასევე, ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტებზე ბათუმსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ორი პირი დააკავეს. ბათუმის შემთხვევა ეხება შპს „სანდასუფთავების“ ერთ-ერთი სამსახურის უფროსის მიერ აღნიშნული შპს-ს ბალანსზე რიცხული სატვირთო ავტომანქანებით სამშენებლო ნარჩენების გატანის სანაცვლოდ ქრთამის აღებას, ხოლო ლაგოდეხის შემთხვევაში მერის წარმომადგენელმა სოფელ კაბალში ქრთამის სანაცვლოდ მოქალაქეს თავიდან აარიდა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

ხუთი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში მშენებლობის კოეფიციენტის უკანონოდ გაზრდის და უნებართვო მშენებლობის ფაქტებზე, ე.წ. **K2** კოეფიციენტებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს კუთვნილი მიწების კერძო საკუთრებაში უკანონოდ რეგისტრაციის ფაქტებზე პასუხისგებაში მიეცა ექვსი პირი, ხოლო სატენდერო პირობების ხელოვნურად მორგების, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისგება ორ მოქალაქეს მოუწია.

როგორც ხედავთ, მიუხედავად ბოლო თვეების განმავლობაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უპრეცედენტო მასშტაბებისა, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ეგრეთ წოდებული შუა რგოლის კორუფცია, რასთან შეგუებასაც, ბუნებრივია, არ ვაპირებთ. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს, ვისაც კი რაიმე შეხება ექნება მსგავს საკითხებთან, ითანამშრომლონ საგამოძიებო ორგანოებთან და მოგვაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია; ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ უჩნდებათ სურვილი, თავიანთი მდგომარეობა ბოროტად, მატერიალური უპირატესობისთვის გამოიყენონ, ვაფრთხილებთ, რომ კანონის დარღვევის ნებისმიერი ფაქტი იქნება გამოვლენილი და მას მოჰყვება შესაბამისი მკაცრი სამართლებრივი რეაგირება.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დღევანდელი რესურსი აბსოლუტურად განსხვავებულია. ბოლო თვეების განმავლობაში გატარებული შიდა რეფორმების, საკადრო ცვლილებების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესების ხარჯზე თვისებრივად გაძლიერდა უწყების შესაძლებლობები.

შემოსული, დამუშავებული და რეალიზებული ოპერატიული ინფორმაციის მოცულობა მხოლოდ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში დაახლოებით 24-ჯერ არის გაზრდილი, რაც მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური და ოპერატიული შესაძლებლობების იმგვარად გაძლიერებაზე, რომ ჩვენს სამსახურს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია როგორც კორუფციასთან შეურიგებელი და შედეგიანი ბრძოლა, ასევე ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა პრევენციული ზომების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა“, – განაცხადა **ლაშა მაღრაძემ.**



## სანთელი

**მირზა ქორქაშვილი** ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და უიშვიათესი პიროვნული თვისებებით გამორჩეული კოლორიტი, ერთგული ძმა და მეგობარი

**ოთარ ჭითანავა.**

გულწრფელად თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

# მერაბ ნინიძე სტალინის როლში



**ქართველი მსახიობი ახალ პოლიტიკურ ტრილერში ითამაშებს. ცოტა ხნის წინ, ცნობილი გახდა, რომ მერაბ ნინიძე ახალ პოლიტიკურ ტრილერში, სახელწოდებით „მშვიდობის ფასი“ ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს.**

კინოსურათის რეჟისორი ოსკარის ოთხგზის ნომინანტი სცენარისტი **ენტონი მაკარტენია**. ფილმის სიუჟეტი მაყურებელს 1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე აბრუნებს, სადაც ჰარი ტრუმენი, ჩერჩილი და იოსებ სტალინი ერთმანეთს ხვდებიან. მათ ევროპისა და მსოფლიოს მომავალი უნდა გადაწყვიტონ. თითოეულს თავისი პირადი და პოლიტიკური მიზნები აქვს.

გამოცემა „დედლაინის“ ცნობით, ნამუშევარში მერაბ ნინიძე იოსებ სტალინის როლს შეასრულებს. ჩერჩილისა და ტრუმანის ამპლუაში კი გაი პირსი და ჯარედ ჰარისი მოგვევლინებიან. უცხოური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფილმის გადაღებები 2026 წლის ზაფხულში, ლონდონსა და პოსტდამში დაიწყება. კინოსურათის პრემიერა, სავარაუდოდ, მომავალ წელს შედგება.

# უძველესი ბაქტერია, რომელზეც ანტიბიოტიკები არ მოქმედებს



**რუმინელმა მკვლევრებმა სკერიშოარას მღვიმეში ბაქტერიის უძველესი შტამი იპოვეს, რომელიც თანამედროვე ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულია.**

ჟურნალის ფრონტიერს **in Microbiology** ცნობით, ბაქტერია **Psychrobacter SC65A.3** ხუთი ათასი წლის წინანდელ ყინულის ნალექებში აღმოაჩინეს. ამ შტამს ერთდროულად 10 თანამედროვე ანტიბიოტიკისთვის შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და ფლობს 100-მდე გენს, რომლებიც ამ ნივთიერებების ნეიტრალიზაციაზეა პასუხისმგებელი. რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა კრისტინა პურკერიამ აღნიშნა, რომ თუ ყინულის დნობა მსგავს ბაქტერიებს გამოათავისუფლებს, მათ სხვა მიკრობებში გავრცელება შეეძლებათ, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს წამლების მიმართ ბაქტერიების მდგრადობის პრობლემას. მკვლევრის თქმით, უძველესი მიკრობების შესწავლა მეცნიერებს ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ჩამოუყალიბდათ მათ ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულობა მანამ, სანამ ადამიანი ამ მედიკამენტების მასობრივ გამოყენებას დაიწყებდა.



# გარყვნილი ქმედების ბრალდებით 31 წლის ვიგინდარა დააკავეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით 1995 წელს დაბადებული გ.ბ. დააკავეს.**

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მეზობლად მცხოვრებ – 2015 წელს დაბადებულ არასრულწლოვანს სისტემატურად უგზავნიდა სექსუალური ხასიათის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. გ.ბ.-მ იგი დაითანხმა, რომ მსგავსი შინაარსის ფოტო მისთვისაც გაეგზავნა. საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ ბრალდებული გოგონას სქესობრივ კავშირს სთავაზობდა.**

**ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა გ.ბ. ბრალდებულის სახით დააკავეს. ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ბრალდებულის მობილური ტელეფონი, რომლის საშუალებითაც იგი არასრულწლოვანს სექსუალური ხასიათის შეტყობინებებს უგზავნიდა“,** – აცხადებენ შსს-ში. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# დაზარალებულს 550 000 დოლარი წაღლიტა!

**თბილისის პროკურატურის თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დაარწმუნა დაზარალებული, თითქოსდა მის კუთვნილ თანხებს მომგებიან ბიზნესში განათავსებდა – შეიძენდა ძვირადღირებულ ავტომანქანებს და მათ რეალიზაციას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მოახდენდა. აღნიშნული მოტივით ბრალდებულმა დაზარალებულს მოტყუებით გამოართვა, ჯამში, 550 000 აშშ დოლარი და მეტი დამაჯერებლობისთვის ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულება წარუდგინა, თითქოსდა უკვე შეძენილი იყო 40 ავტომანქანა. სინამდვილეში, ბრალდებულს ავტომანქანები არ შეუძენია, ხოლო დაზარალებულის კუთვნილი თანხები თაღლითურად მიისაკუთრა. ვინაიდან ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) დაუსწრებლად წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,** – აცხადებენ პროკურატურაში.

# კარალეთში ფრინველთა ორი არალეგალური სასაკლაო გამოვლინდა

**სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის დეპარტამენტის ინსპექტორებმა გორის მუნიციპალიტეტში ფრინველთა ორი არალეგალური სასაკლაო გამოავლინეს,** – ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

**სოფელ კარალეთში მდებარე შპს „კარა 1980-სა“ და ინდმეწარმე ნ. გ.-თან განხორციელებული არაგეგმური ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესოპერატორები საქმიანობდნენ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და სააგენტოსაგან მინიჭებული სავალდებულო აღიარების გარეშე. ორივე ობიექტზე გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, შპს „კარა 1980-ში“ დაილუქა საეჭვო წარმომავლობის მწყერის ხორცი, ხოლო ინდმეწარმე ნ. გ.-ის სასაკლაოზე – ქათმის ხორცი.**



**გამოვლენილ დარღვევებზე გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები – ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუსაბამობების აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი. სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს ბიზნესოპერატორებს, დროულად გაიარონ აღიარებისთვის სავალდებულო პროცედურები და სურსათის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის დროს დაიცვან უვნებლობის მოთხოვნები.**

# ახალი ქართული პასპორტი და პირადობის მოწმობა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია

**საქართველოს ახალმა ბიომეტრიულმა პასპორტმა და პირადობის ელექტრონულმა მოწმობამ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა, როგორც თანამედროვე სტანდარტების, მაღალი უსაფრთხოების, გამორჩეული და დახვეწილი დიზაინის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებმა.**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობით, ახალი ბიომეტრიული პასპორტი და პირადობის ელექტრონული მოწმობა, რომელთა გაცემა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2025 წელს დაიწყო, წარდგენილი იყო უსაფრთხო დოკუმენტების ტექნოლოგიების რეგიონული ფორუმის – „მაღალი უსაფრთხოების ბეჭდვა 2026“ (High Security Printing EMEA 2026) ფარგლებში გამართულ კონკურსში, ნომინაციაში – „საუკეთესო დოკუმენტების სერია“.

დაჯილდოების ცერემონიაზე ჯილდო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარეს **რუსუდან კოხოძეს** გადაეცა. უსაფრთხო დოკუმენტების ტექნოლოგიების ყოველწლიური რეგიონული ფორუმი მაროკოს სამეფოს დედაქალაქ რაბათში, ბრიტანული კომპანიის, „რექონესენს ინტერნეიშენალის“ (Reconnaissance International) ორგანიზებით ჩატარდა. მასში 50-მდე ქვეყნის 300-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა.




სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები: **სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თამთა ფეტვიაშვილი და ახალი თაობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების პროექტის მენეჯერი ნატალია გეგელაშვილი ფორუმზე მოხსენებით წარდგნენ და ღონისძიების მონაწილეებს ახალი ქართული დოკუმენტების დიზაინი და მახასიათებლები გააცნეს.**

**ახალი თაობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების – საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტისა და პირადობის ელექტრონული მოწმობის უსაფრთხოება კიდევ უფრო გაძლიერებულია თანამედროვე დამცავი ნიშნებით, დიზაინი კი ეროვნული თემატიკით არის გაჯერებული.**

# ნატახტრიდან – მესტიამდე!..

**საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ გემოფესტთან და ფრიდაიდის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით მესტიის მიმართულებით დამატებითი ავიარეისები დანიშნა.**

21-22 თებერვალს სვანეთი „გემო ფესტს“ უმასპინძლებს, ხოლო 21-28 თებერვალს რეგიონში ფრირაიდის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. გაზრდილი მგზავრთნაკადის გათვალისწინებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“, ნატახტრიდან მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტის მიმართულებით და პირიქით, 5 დამატებითი ავიარეისი დანიშნა.

**ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.**




# დანაშაულებრივი ჯგუფი სხვადასხვა დამთვალიერებელზე ერთსა და იმავე ბილეთებს ყიდდა



# 10-მილიონიანი თაღლითობა ლუვრში

**საფრანგეთის პოლიციამ დააკავა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ლუვრში შესასვლელი ბილეთებით მანიპულირებდა და ამ გზით 10 მილიონი ევრო მიითვისა, – ამის შესახებ გამოცემა Art Newspaper-ი იტყობინება.**

თაღლითობის საქმეზე სამშაბათს, 17 თებერვალს, 9 პირი დააკავეს, მათ შორის – სქემის ორგანიზატორი და მუზეუმის ორი თანამშრომელი. ჯგუფზე თვალთვალი 2024 წლის ბოლოდან დაწესდა, როდესაც გამომძიებლებმა დააფიქსირეს, რომ ყოველდღიურად ლუვრში 20 ტურისტული ჯგუფი ერთი და იმავე ბილეთის მრავალჯერადი გამოყენებით შედიოდა.

გამოძიება მუზეუმის ხელმძღვანელობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო, რომელიც „ორი ჩინელი გიდის ხშირ გამოჩენას“ შეეხებოდა; ეს გიდები, გადასახადების თავიდან არიდების მიზნით, სხვადასხვა დამთვალიერებლისთვის ერთი და იმავე ბილეთებს მრავალჯერადად იყენებდნენ. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ სქემა 10 წლის წინ ამოქმედდა. მათივე შეფასებით, თაღლითობის შედეგად მიყენებულმა ზარალმა 10 მილიონი ევრო შეადგინა. პარიზის პროკურატურამ დაადასტურა, რომ ამოღებულია 957 000 ევროზე მეტი ნაღდი ფული, მათ შორის – 67 000 ევროს ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში, 486 000 ევრო კი ეჭვმიტანილთა საბანკო ანგარიშებიდან მოიხსნა. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ უკანონო შემოსავლის ნაწილი საფრანგეთსა და დუბაიში უძრავ ქონებაშია დაბანდებული.

პროკურორის ბრძანებით, ერთ-ერთი დაკავებული პატიმრობაში რჩება. ის ყალბ დოკუმენტებს იყენებდა, ჩართული იყო ფულის გათეთრებაში და ხელს უწყობდა საკონტროლო პუნქტებზე ტურისტული ჯგუფების უსასყიდლოდ გატარებას. პოლიციამ შემოწმება ვერსალის სასახლეშიც დაიწყო, რადგან არსებობს ეჭვი, რომ მსგავსი თაღლითური სქემა იქაც მოქმედებს.

ამ დანაშაულის გამოაშკარავება იმ დროს მოხდა, როცა ლუვრის მუზეუმი ისედაც ძლიერი საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ იმყოფება. გასულ კვირას წყლის გაჟონვამ ლუვრის ერთ-ერთ დარბაზში რამდენიმე ნახატი დააზიანა, ხოლო გასული წლის ოქტომბერში მოხდა 88 მილიონი ევროს ღირებულების ძვირფასი ექსპონატების გატაცება, რომლებიც დღემდე არ არის ნაპოვნი...

# „აჭარული საუნჯე“ (I–VI ტ.) – ფოლკლორის ცენტრში წიგნი წარადგინეს

**18 თებერვალს ფოლკლორის ცენტრის დარბაზში წიგნის – „აჭარული საუნჯე“ (I-VI ტ.) წარდგენა გაიმართა.**

ფოლკლორის ცენტრის ინფორმაციით, „აჭარული საუნჯე“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემაა.




**„ინსტიტუტის დაარსებისთანავე, 1958 წლიდან დაიწყო აჭარის რაიონებში ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური ექსპედიციები. მოპოვებული მასალა ინახება ინსტიტუტის არქივში. სწორედ, ეს მასალაა წარმოდგენილი გამოცემაში: ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების სოფლებში შეკრებილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.**

**მრავალტომეული საინტერესოა არამარტო ქართველოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვის. წარმოდგენილი იყო აგრეთვე ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში სამეცნიერო საექსპედიციო საქმიანობის ამსახველი ფოტომასალა“.**




# მოზარდ მაყურებელთა თეატრში დღეს პრემიერაა

**მოზარდ მაყურებელთა თეატრი პრემიერისთვის ემზადება. 20 თებერვალს სულხან-საბა ორბელიანის იგავის „ბლახაკი და ქილა ერბოს“ სიუჟეტურ მოტივებზე დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართება.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 23 თებერვალს